ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Alkhali Taoba

ორშაბათი, 29 მაისი, 2017 №125 (7360) ფასი: 50 თეთრი

ვისი ბრალია 11.000 ჩაჭრილი მოსწავლე?

გვ.3

25 მაისიდან
ოქროს ბიბლიოთეკა
თეოდორ დრაიზერი
ამერიკული ტრაგედია
ნაწილი 2
ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი

„პატრიარქმა ხელისუფლებას სილა გაკრა“

გვ.4

„ვილაცას ილია II-ის მაღალი რეიტინგი ძალიან აწუხებს“

გიგლა ბარამიძე: „ბიძინა ივანიშვილი „ქართულ ოცნებაზე“ გაბრაზებულია“

გვ.2

„ევროპულმა საქართველომ“ არჩევანი ელენე ხოშტარიაზე შეაჩერა

იქნება თუ არა ნიკა რურუა ნაციონალების მერობის კანდიდატი

„საქართველო აღარ არის „პოსტ“-ქვეყანა“



გვ.4

პრემიერმა ბრატისლავაში რუსეთის წარმომადგენლის რეპლიკას უპასუხა

ISSN 1987-9385

გიორგი მღებრიშვილი თანამდებობას არ ტოვებს

გვ.7

გვ.2

სოსო ცინცაძე: „თბილისში ოპოზიციას შანსი არ აქვს“

დევიდ კრამერი: „ამ ეტაპზე ნატოსა და ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანების სერიოზული პერსპექტივა არ ჩანს“

გვ.5

სოსო ცინცაძე: „თბილისში ოპოზიციას შანსი არ აქვს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო სოსო, კულუარული ინფორმაციით, არ არის გამორიცხული, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ სამთავრობო კაბინეტის გადახალისება მოხდეს. რამდენად არის მოსალოდნელი ასეთი სვლა?

– გამორიცხული არაფერია. შეიძლება რაღაც პერსონალური ცვლილებები იყოს. თუმცა მე არ ველოდები საკვანძო პოზიციებზე ცვლილებებს. ზოგადად არჩევნების წინ მსგავსი გადაადგილებები უცხო არ არის და ხშირად ამ ცვლილებებს პიარის დატვირთვა აქვს. არიან მრჩევლები, რომლებიც მსგავსი გადაწყვეტილების მიღებას ურჩევენ ხოლმე, მაგრამ ეს ალბათ უფრო მეორეხარისხოვანი ცვლილებები იქნება.

– საკვანძო პოზიციაზე მინისტრების ცვლილება წინასაარჩევნოდ არ მოხდება?

– ალბათ არა. თუმცა ჯერ არჩევნებამდე არის დრო და ვნახოთ, რა მოხდება. იქნებ ისე განვითარდეს მოვლენები, რომ არჩევნებამდე კი არა, ორ დღეში გახდა რომელიმე მინისტრი მოსახსნელი, თუმცა ასეთ რადიკალიზაციას არ ველოდები.

– თბილისში მერის არჩევნებში როგორ განვითარდება მოვლენები? უკვე ოფიციალურად დასახელდა ელენე ხოშტარია, როგორც ევროპული საქართველოს მერობის კანდიდატი.

– კი დასახელდა, მაგრამ, ვინც არ უნდა იყოს კანდიდატი, ოპოზიციას შანსი არ აქვს თბილისში. სახელისუფლებო კანდიდატი გაიმარჯვებს, ეს აშკარად ჩანს არსებული სურათით. თუმცა აქ აუცილებლად უნდა ვთქვა, რომ დედაქალაქში ხელისუფლების პოზიციები შესუსტდება. ეს გარდაუვალია.

– რატომ?

– იმიტომ, რომ დღემდე დედაქალაქში არსებული ვერცერთი მსხვილი პრობლემა ვერ გადაიჭრა და ეს ვის დაბრალდება?! რა თქმა უნდა, არა მხოლოდ ნარმანიას, ცხადია, ხელისუფლებას და ეს სავსებით ლოგიკურია.

რაც შეეხება რაიონებს, იქ ალბათ არაფერი დიდად არ შეიცვლება. რაიონებში ადმინისტრაციული რესურსი უფრო მძაფრად მუშაობს.

– ოპოზიცია რამდენად ადეკვატურად წარდგება ოქტომბრის არჩევნებში?

– ოპოზიცია კატასტროფულად გამოიყურება. არათუ გამოიყურება, კატასტროფულ მდგომარეობაშია. მე არ ვარ დარწმუნებული, რომ ოპოზიციამ შეძლოს ამ მასობრივი უკმაყოფილების გამოყენება. ამას ამ მდგომარეობაში მყოფი ოპოზიცია ვერ შეძლებს, ამიტომაც დღეს ხელისუფლება უალტერნატივოა და ეს არის მწარე რეალობა.

– ოპოზიცია სუსტია და ხელისუფლებაც მოდუნებულია?

– დიახ, სწორედ ასეა, ზუსტი ნათქვამია. როდესაც ხელისუფლებას ოპოზიცია არ ჰყავს, არ აქვს მნიშვნელობა, ეს იქნება საქართველოში თუ საფრანგეთში, ყველა ხელისუფლება მოდუნებულია. ეს ელემენტარული პოლიტიკური ჭეშმარიტებაა.

რას აკეთებს დღეს ოპოზიცია, რომ იყოს ძლიერი? არაფერს, პირიქით, თვითლიკვიდაციისკენ დგამს ყველა ნაბიჯს. დღეს ოპოზიცია, როგორც არასდროს, ისეა ლუსტრირებული, მათი ნდობა ამომრჩეველში ძალიან პირობითია. თითქმის ნულის ტოლია. გათითოკაცებული პარტიები და მათი ლიდერები განდიდების მანიით არიან შეპყრობილი და მათი ერთადერთი მიზანია, გამოჩნდნენ ტელევიზიით, გაზეთის ფურცლებზე და მეტი არაფერი.

– რა ნაბიჯები უნდა გადადგან?

– ყველა პარტიამ თვითლიკვიდაცია უნდა გამოაცხადოს და ერთი დიდი ოპოზიციური პარტია უნდა შექმნან, სადაც შევა ყველა და შიდა პრაიმერიზით უნდა მოხდეს ერთი ლიდერის არჩევა. ამ ერთმა პარტიამ უნდა წამოაყენოს ყველაზე ძლიერი კანდიდატი თბილისის მერის პოსტზე, მაგრამ ეს შეუძლებელი მგონია. ოპოზიციას ყოველთვის უჭირდა გაერთიანება და შემდეგ ერთი იდეისა და მიზნისკენ მწყობრი სვლა.

– მესამე ძალაზე ბევრს საუბრობდნენ, თუმცა ეს ძალა არ ჩანს. გადაჭარბებული იყო ამაზე საუბარი?

– არა, მოლოდინი ნამდვილად რეალურია და ადამიანები ელოდებიან, მესამე იქნება თუ მეხუთე, არ აქვს მნიშვნელობა, ახალ ძალას. თუმცა, როდის გამოჩნდება ეს ძალა, რთული სათქმელია. ყველა გამოკითხვა აჩვენებს, რომ ადამიანები რაღაც ახალს ელიან. ვინ იქნება ეს და რა ფორმით შემოვა ახალი ძალა, ამაზე ახლა რთულია საუბარი. თუმცა, როდესაც მოთხოვნილება ჩნდება, შეუძლებელია, არ გამოჩნდეს.

ამ ფონზე უკმაყოფილოთა მასაც იზრდება. თუმცა, სანამ ემოცია იქნება წინა პლანზე და რაციონალიზმი უკანა პლანზე, მუდმივად იქნება ახლის ძიების სურვილი. მთავარია, ჩვენმა საზოგადოებამ ისწავლოს შეცდომებზე, სხვის შეცდომებზე თუ ვერა, თავის შეცდომებზე მაინც.

– დღეს ხელისუფლების მთავარი პრობლემა რა არის, რომ მას არ ჰყავს ძლიერი ოპოზიცია?

– ის, რომ ხელისუფლებას ოპოზიცია არ ჰყავს, პრობლემა კი არა, ტრაგედიაა როგორც მისთვის, ისე ქვეყნისთვის. ამიტომ ამაზე ხელისუფლებამ სერიოზულად უნდა იფიქროს, იფიქროს არა მის დასუსტებაზე, არამედ – გაძლიერებაზე. საარჩევნო ბლოკების გაუქმება სხვა არაფერია, თუ არა დასუსტება. აქამდე ყველა ხელისუფლება სწორედ საარჩევნოდ შექმნილმა ბლოკებმა შეცვალა.

მეორე სერიოზული პრობლემაა პრიორიტეტების არქონა. თავის დროზე სტალინი ამბობდა – ყველაფერი ფრონტისთვის! ასევე დღეს ხელისუფლებამ უნდა თქვას – ყველაფერი ხალხისათვის, ადამიანისთვის. გასაგებია, ამ ხელისუფლებამ თქვა, რომ მისი მთავარი ორიენტირი არის ადამიანი, მაგრამ ადამიანებს შიათ და ეს არის რეალობა. ამას ვერსად გავექცევით.

იქნება თუ არა ნიკა რურუა ნაციონალების მერობის კანდიდატი

„ევროპულმა საქართველომ“ არჩევანი ელენე ხოშტარიაზე შეაჩერა

შორენა მარსაგიშვილი

პოლიტიკურ პარტიებში თბილისის მერობის კანდიდატების შერჩევაზე დიდი შიდა ბრძოლებია. ამ მხრივ საქმე ყველაზე უკეთესად „ევროპულ საქართველოს“ აქვს. ნაცმოძრაობისგან გამოყოფილებმა თბილისის მერობის კანდიდატი უკვე ოფიციალურად დაასახელეს.

„ახალი თაობა“ ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ წერდა, რომ მერობის პოსტზე ელენე ხოშტარიას კანდიდატურა მოიაზრებოდა. იმ პერიოდში ირაკლი აბესაძის კანდიდატურაც განიხილებოდა. საბოლოო არჩევანი ელენე ხოშტარიაზე შეჩერდა. მერობის კანდიდატად ის „ევროპული საქართველოს“ ყრილობაზე დაასახელეს.

როგორც სიტყვით გამოსვლის დროს ელენე ხოშტარიამ განაცხადა, მერად არჩევის შემთხვევაში იგი სოციალურ დახმარებასა და პენსიას 50 ლარით გაზრდის.

ხოშტარიას თქმითვე, თბილისი შესაძლებლობების ქალაქი უნდა გახდეს. მისი განმარტებით, ქალაქის მერი ხალხის წინაშეა ანგარიშვალდებული.

– ქალაქის მერი არ არის ქალაქის მფლობელი. ქალაქის მერობა და მმართველობა არის პასუხისმგებლობა. პასუხისმგებლობა, რომ ჩვენი განსხვავებები მოსაზრებებში, გემოვნებებში, შესაძლებლობებში იყოს არა კონფლიქტის, არამედ მრავალფეროვანი შესაძლებლობების სივრცე. ამიტომ, მე გპირდებით, რომ მთელი ჩემი ენერგია იქნება მიმართული იმაზე, რომ ჩვენ აქ, ჩვენს ქალაქში, შევქმნათ შესაძლებლობების ქალაქი ახალგაზრდებისთვის, პენსიონერებისთვის, მშრომელებისთვის, სოციალურად გაჭირვებულებისა და ჩვენი საზოგადოების ყველა ჯგუფისთვის, – განაცხადა ხოშტარიამ.

ნაციონალებში კი მერობის კანდიდატის გამოსავლენად შესაძლოა პრაიმერიზი ჩატარდეს.

თავიდან ითქვა, რომ ნაციონალები მერობის კანდიდატად ნიკა მელიას დაასახელებდნენ. ცოტა ხანში გრიგოლ ვაშაძის გვარმაც გაიჟღერა.

პატრიოტთა ალიანსის წევრ ლადო სადღობელაშვილის ინფორმაციით კი თბილისის მერობისთვის ბრძოლას ნიკა რურუაც აპირებს.

– რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მერის პოსტზე კენჭისყრა რურუასაც უნდა. ნაციონალურ მოძრაობაში, ფაქტობრივად, მას მიჰყავს „პარადი“ და, თუ ძალიან მოინდომა, იყრის კიდეც კენჭს, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში სადღობელაშვილმა.

მისი თქმით, ამ შემთხვევაში ნაციონალებს არც ფინანსები ექნებათ საძებნელი:

– რურუას ძმა ჟორიკა რურუა სერიოზული ბიზნესმენია. სერიოზული ფული აქვს მათ დიდ მეგობარ ზარალას, იმავე გიორგი რამიშვილს. ფულს არცერთი არ დაინანებს საარჩევნო კამპანიის დასაფინანსებლად.

პატრიოტთა ალიანსის წევრის თქმით, თუ რურუამ მართლა იყარა კენჭი, თბილისში სერიოზული ბიზნესდაპირისპირება დაიწყება.

– „ოცნება“ კალაძის კანდიდატურას თუ დააყენებს და ნაცები – რურუასას, სერიოზული დაპირისპირებაა მოსალოდნელი. კალაძესაც და რურუას კლანსაც რაღაცების გარკვევა მოუწევთ.

სამწუხაროდ, ჩვენ ისეთ რეალობაში ვცხოვრობთ, რომ არჩევნებს ფული იგებს. ისეთი იდეოლოგიაა ქვეყანაში, ფულის გარეშე ზვიად გამსახურდიასაც კი არ მისცემენ ხმას, – მიაჩნია სადღობელაშვილს.

„ოცნების“ კულუარებში ამბობენ, რომ კალაძეზე არჩევანი სწორედ იმიტომ შეჩერდა, რადგან მას თავისი ფული აქვს.

– აშკარაა, რომ ივანიშვილს აღარ უნდა ფულის გადაყრა. საპარლამენტო არჩევნებზე მაჟორიტარად სწორედ ფულიანი კანდიდატები შეარჩიეს. თვითმმართველობის არჩევნებზეც ფულიან ხალხს შეარჩევენ მაჟორიტარებად. მათ საკუთარი კამპანია თავად უნდა დააფინანსონ. კალაძეც ამ ნიშნით არის შერჩეული, – ამბობს „ახალ თაობასთან“ საუბარში ხელისუფლებასთან დაახლოებული წყარო.

მისივე ინფორმაციით, კალაძესთან დაკავშირებით ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის. მერის პოსტზე კიდევ რამდენიმე ფულიანი კანდიდატი განიხილება.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაგურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ვისი ბრალია 11.000 ჩაჭრილი მოსწავლე?



გასულ კვირას მე-12 კლასელებისთვის ბოლო ზარი დაირეკა. მოსწავლეებმა საატესტატო გამოცდებიც ჩააბარეს. ბევრმა წარმატებით, ბევრმაც – წარუმატებლად. საატესტატო გამოცდებზე 11 ათასი მოსწავლე ჩაიჭრა. აქედან დიდი წილი რეგიონებზე მოდის. აღნიშნული თემა სოციალურ ქსელში დიდი განხილვის საგნად იქცა. ვინ არის დამნაშავე? სკოლა? მასწავლებელი? განათლების სამინისტრო თუ მშობელი? უმრავლესობა ხელს პედაგოგებისკენ იშვერს.

რეალურად რაშია პრობლემა? ვინ არის დამნაშავე? სად მიჰყავს სახელმწიფოს ამდენი უატესტატო მოსწავლე? როგორ უნდა მოგვარდეს პრობლემები? „ახალი თაობის“ ამ და სხვა კითხვებს ფსიქოლოგი, ლექტორი რამაზ საყვარელიძე და თელავის მუნიციპალიტეტის ვარდისუბნის საჯარო სკოლის პედაგოგი ირმა ჯაშიაშვილი პასუხობენ.

ნონა ცაბაძე

– ბატონო რამაზ, რა პრობლემის წინაშე ვდგავართ? წელს 11 ათასი მოსწავლე ჩაიჭრა საატესტატო გამოცდებზე. სოციალურ ქსელებში განათლების სამინისტროსა და პედაგოგების ლანძღვა-გინებას ვისმენთ. მხოლოდ სკოლა და განათლების სისტემაა დამნაშავე ამ ყველაფერში?

– აბსოლუტურად ვემხრობი თქვენი კითხვის ქვეტექსტს, რადგან თქვენ კითხულობთ – მხოლოდ?! ანუ ეს კითხვა გაფართოების საკითხს აყენებს. არ შეიძლება, თითი მხოლოდ განათლების სისტემისკენ გავიშვიროთ, არა იმიტომ, რომ განათლების სისტემა იდეალურია. უბრალოდ, მოვლენაა უფრო რთული.

კვლევები აჩვენებს, რომ ჩვენი სკოლების სწავლის დონე ვერაფრით გაუსწორდა მსოფლიოს საშუალო სტანდარტს და ეს გრძელდება 8 წელიწადია. წლებია ვერ გასწორდა მდგომარეობა. ამ 8 წლის განმავლობაში ბევრი მინისტრი და სამინისტროში ბევრი თანამდებობის პირი გამოიცვალა.

– არ გვივარგა განათლების სისტემაო, გვესმის შეფასებები. ასეა? რას იტყვით თქვენ?

– ხან რა შეიტანეს ამ განათლების სისტემაში, ხან გამოიტანეს. ერთ-ერთი ის სფერო, სადაც ყველაზე ენერგიულად ატარებენ ხოლმე რეფორმებს, სწორედ განათლებაა. ამ ტიპის რეფორმების შედეგი 25 წლის შემდეგ ჩანს, მაგრამ პრაქტიკულად პრობლემა პრობლემად რჩება.

– ანუ სულ სხვაგან უნდა ვეძებოთ პრობლემის სათავე?

– დიახ. სწორედ ამიტომ ვეღარ მივყვები იმ განწყობილებას, რომ რა ცუდი განათლების სისტემა გვაქვს. განათლების სისტემას თავის გადასაწყვეტი პრობლემები აქვს, სახელმძღვანელოები არ ვარგა, არ იკითხება, ქართულ ენაზე არაა დაწერილი, გააზრებული არ არის პროგრამები და ასე შემდეგ. მოკლედ, უამრავი პრობლემაა. მაგრამ, მე მგონი, გვაქვს კიდევ ერთი პრობლემა, რომლის გარეშეც მხოლოდ განათლების სისტემით მსჯელობა არ შეიძლება.

– და რა არის ეს პრობლემა?

– ეს არის ოჯახი! მე მივხვდი იმ კითხვის პათოსს, რომელიც თავში დასვით. ანალოგიური პრობლემა უცხო ქვეყნებსაც ჰქონდათ. პრობლემა შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ – როდესაც უფროსი თაობის, მშობლის განათლების დონე არ არის სასურველ სიმაღლეზე, მერე ეს აისახება შვილებზე. მინიმუმ 6-7 წელი ბავშვი მხოლოდ მშობლებზეა დამოკიდებული. შემდეგ კი სკოლა და ოჯახი ინაწილებენ პასუხისმგებლობას. სკოლის დამთავრების მერე უნდა ბავშვს დამოუკიდებლობა და მერე მოქმედებს მასზე ის გარემო, რომელშიც მოხვდება.

7-დან 18 წლამდე ბავშვებში ოჯახის გავლენა არსებობს და ჩვენ რომ ოჯახი ამოვაგდოთ სათვალავიდან, ეს არასწორი იქნება. რომ დაბალი მაჩვენებლები გვაქვს იმ ოჯახებში, სადაც ნაკლებია წიგნი, ნაკლებია ინფორმაცია, ტექნოლოგიები, ნაკლებია ინტელექტუალური მუშაობა.

– საზოგადოების დამოკიდებულებაშია პრობლემა?

– ბევრს აგდებული დამოკიდებულებაც აქვს. ოჯახები ისწრაფვიან იმისკენ, რომ შვილი უცხოეთში გააგზავნონ სასწავლებლად, თუმცა ეს მაინც უფრო პრესტიჟული დიპლომის მოპოვებასთან არის დაკავშირებული და არა ცოდნასთან.

სტუდენტების მეტი რა მყავს, ხუთ უნივერსიტეტში ვასწავლი. დღეს აშკარად იკითხება წამყვან მოტივად სტუდენტებში, რომ მათ მაღალი ქულა უნდათ. ეს ქულა რომ მიიღონ უცოდინრობაში, თანახმა არიან! ქულა სტუდენტური კარიერის საფეხურია და ამ საფეხურის იქით ინტერესი უკვე ნაკლებია. იციან თუ არ იციან, ეს არ აინტერესებთ. მთავარი კითხვაა, მექნება თუ არა ესა თუ ის ქულა. ხანდახან ბრწყინვალე სტუდენტებიც მყავს თავიანთი მოტივაციით, გვერდზე დებენ ქულებს და სწავლაზე ფიქრობენ, მაგრამ ეს არც ისე ხშირია.

– რა განათლებით მოდიან სკოლიდან თქვენთან ეს სტუდენტები, არის სხვაობა წინა წლებთან შედარებით და როგორია ეს სხვაობა, უკეთესი თუ უარესი?

– წინა წლებთან შედარებით უფრო მოტივირებული და უფრო მაღალი დონეა, დამოკიდებულებაც უფრო აქტიურია. არის უმაღლესები, სადაც ძალიან მაღალი დონეა და არის უმაღლესები, სადაც ძალიან დაბალი დონეა. მე მაინც მექმნება შთაბეჭდილება, რომ უკეთესი თაობა მოდის, ვიდრე ადრე იყო.

– როგორ უნდა აღმოიფხვრას არსებული პრობლემები, რა კუთხით უნდა იმუშაოს სახელმწიფომ, ოჯახმა, სკოლამ? რა არის ის მთავარი, რაც უნდა შეიცვალოს?

– ბევრი მუშაობაა საჭირო, განათლების სისტემაში მაღალი დონე რომ იყოს. მე სისტემა ვახსენე იმიტომ, რომ ბევრი პრობლემა არის სასკოლო დონეზე, მაგრამ არანაკლები პრობლემებია უმაღლესების დონეზე. მთლიანად მთელი სისტემაა მისახედი, ასევე მისახედია ის თემა, რომელიც ასე სიფრთხილით წამოვწიეთ, რასაც ჰქვია მშობლების საგანმანათლებლო დონის აწევა და განათლების მიმართ პატივისცემის გაჩენა საზოგადოებაში. ეს არ არის ახალი პრობლემა. საბჭოთა პერიოდშიც ჩვენ ერთ-ერთი მოწინავე ვიყავით იმ ქვეყნებს შორის, სადაც მშობლები ქრთამს იძლეოდნენ იმისთვის, რომ შვილს დიპლომი მიეღო ცოდნის გარეშე.

– ისევ მოგვყვება ეს საბჭოთა ჩვეულება?

– სხვათა შორის, შემცირდა. ჩემთან ქრთამი არავის მოუტანია. მე იმ სპეციალობებს არ ვასწავლი, რომ მერე ეს ქრთამი ამოიღონ, მაგრამ ადრე ხშირად იყო ზარები. სწორედ მაგიტომ არ მიყვარდა ლექტორობა. გამოცდა რომ დადგებოდა, ნახევარი საქართველო მირეკავდა.

– ახლობლობა, მეგობრობა, ნაცნობობა, ამის შვილი, იმის ძმისშვილი, ეს ისევ დარჩა ჩვენს მენტალიტეტში?

– დიახ, დარჩა, მაგრამ არა იმ დოზით. ეს იმავეს ნიშნავს, რომ მოდი რა, ცოდნას კი ნუ მისცემ, ნიშანი დაუწერე. მიხარია, რომ ეს მიდგომები შემცირდა. მოქალაქეობრივი დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს მშობელს შვილის სწავლა-განათლების მიმართ, ასევე – სახელმწიფოსაც.

– 11 ათასი ჩაჭრილი მოსწავლე არც ისე პატარა რიცხვია. რას უშვრება სახელმწიფო ამ მოსწავლეებს, სად მიდიან ეს უატესტატო ახალგაზრდები?

– აუცილებლად უნდა არსებობდეს სტრუქტურულად შემავსებელი, თუნდაც რაღაც დახმარების სისტემა, რომელიც ამ მოსწავლეებს სწავლაში დაეხმარება. იმ ოთხპუნქტიან გეგმაში, რომელიც კვირიკაშვილმა წამოაყენა, ერთ-ერთი უმთავრესი განათლება და პროფესიული განათლებაა. იქნებ პროფესიული სასწავლებლებისკენ გავუხსნათ ამ ახალგაზრდებს გზა. ნუ ჩავთვლით, რომ ყველა სპეციალობაზე განათლების მაღალი დონეა აუცილებელი.

– ჩვენში ის ამბიციურობაც ხომ დევს, რომ ყველას უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი უნდა ჰქონდეს?

– მე მიხარია, ეს ამბიცია რომ არის. გულსატკენი ის არის, რომ ეს ამბიცია გამოუყენებელია. თუ ამ ამბიციას გამოვიყენებთ და გავამკაცრებთ იმ მიდგომას, რომ დიპლომი აუცილებლად ნიშნავდეს ცოდნას, მაშინ ამ ამბიციის საფუძველზე ჩვენ მივიღებთ მაღალი განვითარების საზოგადოებას.

❖ ❖ ❖

ირმა ჯაშიაშვილი, ვარდისუბნის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი:

– ირმა, 2017 წლის საატესტატო გამოცდებზე 11 ათასი მოსწავლე ჩაიჭრა. ითქვა ისიც, რომ ჩაჭრილთა რაოდენობა რეგიონებში მეტია. თქვენ თელავის სკოლაში ასწავლით. რა არის პრობლემა? რატომღაც ყველა სკოლასა და მასწავლებელს ადანაშაულებს. არის მთავარი დამნაშავე მასწავლებელი?

– პრობლემა კომპლექსურია. ბევრი რამ ბოლო წლებში განხორციელებული არასწორი რეფორმების შედეგია. რეფორმების ცვლა მინისტრების ცვლასთან არის მიბმული და, მოგეხსენებათ, მინისტრები ხშირად იცვლებიან. სხვადასხვა პრობლემის მიუხედავად, ყველაზე მთავარი მშობლის, ოჯახის როლია. მშობელი უნდა იყოს უფრო აქტიური და აქტიურად ჩაერთოს შვილის სასკოლო ცხოვრებაში. მასწავლებელშია პრობლემა? ხმამაღლა დააფიქსიროს, გაარკვიოს. მაგრამ უმრავლესობა დუმილს ამჯობინებს და იცით, რა მიზეზით?!

– რა მიზეზით?

– ჩემს შვილს გადაეკიდება, ნიშანს დააკლებს და ასე შემდეგ. როდესაც პედაგოგი არ მოგწონს, ამაზე ხმამაღლა უნდა ვისაუბროთ. მშობლის პასიურობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა. კლასის დამრიგებელი ვარ და ყოველთვის ვთავაზობ მშობლებს, რომ პრობლემებზე ღიად მესაუბრონ. მათი ჩართულობა მინიმალურია.

– რა პრობლემების წინაშე დგანან დღეს რეგიონის სკოლები? ამბობენ, რომ ჩაჭრილთა უმეტესობა რეგიონებიდან არის.

– ეს ჩემთვის დიდი სიურპრიზი იყო, რადგან სულ აღნიშნავდნენ, რომ მისაღებ გამოცდებზე რაიონის სკოლის მოსწავლეები მაღალ შედეგებს აჩვენებდნენ. არ ვიცი, რა შეიცვალა ამ კუთხით. სოფლის სკოლებში მატერიალურ-ტექნიკური ბაზა თანამედროვე მოთხოვნებს ვერ პასუხობს. საკლასო ოთახებში არ არის ელექტროენერგია. სხვა რაზე უნდა ვისაუბროთ?! ერთი წელია, რაც ჩემს სკოლაში ეს პრობლემა ნაწილობრივ მოგვარდა. ამ მხრივ სოფლისა და ქალაქის სკოლები არათანაბარ პირობებში იმყოფებიან.

– მოუმზადებელი შეხვდნენ რეგიონის სკოლები საატესტატო გამოცდებს?

– პირადად ჩემი სკოლის მაგალითზე ამას ვერ ვიტყვი. მხოლოდ ერთი მოსწავლე ჩაიჭრა, ისიც ერთ საგანში. საკმაოდ კარგი ქულები დაიწერა. მე დღეს ზოგად პრობლემებზე ვსაუბრობ. სოციალურ ქსელში დიდი გამოხმაურება ჰქონდა ამ თემას და რატომღაც ყველამ მასწავლებლისკენ გაიშვირა ხელი.

– კიდევ ვინ არის დამნაშავე?

– მე არ ვამბობ, რომ მასწავლებელი უნდა გავათავისუფლოთ ამ პასუხისმგებლობისგან, თუმცა მხოლოდ მას არ უნდა შევაწმინდოთ ხელი. პრობლემები კომპლექსურია. სულ ცვლილებებში ვართ. უნდა ვაღიაროთ, რომ სკოლებში არის მასწავლებელთა ის კატეგორია, რომელიც არ არის თავისი საქმის პროფესიონალი. გამართულ განათლების სისტემას, სკოლის კარგ მენეჯმენტსა და აქტიურ მშობელს ნამდვილად შეუძლია ასეთი მასწავლებლის ტრანსფორმაცია ან გაყვანა სისტემიდან. მშობლის ჩართულობა აუცილებელია. სამწუხაროდ, მათი დიდი ნაწილი განზე დგომას ამჯობინებს.

ალექსანდრე ჯეჯელავა: „გერმანიაში სრულ 12-კლასიან ატესტატს მოსწავლეების 30% იღებს, ჩვენთან კი – 80%-ზე მეტი“

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელავა გამოეხმაურა საატესტატო გამოცდების შედეგებს, რომლის თანახმად, 11.000 სკოლის მოსწავლემ გამოცდები ვერ ჩააბარა.

– შედეგები წინა წლის შედეგებისგან არ განსხვავდება. ესენი არიან ბავშვები, რომლებმაც არ გამოიჩინეს სწავლის დიდი მოტივაცია. მოგეხსენებათ, რომ გერმანიაში სრულ 12-კლასიან ატესტატს მოსწავლეების 30% იღებს, ჩვენთან კი 80%-ზე მეტი. მოვუწოდებთ ყველას, რომ ხელობაზე გააკეთონ აქცენტი, დაწყებული კომპიუტერული მეცნიერებებიდან, დამთავრებული ბევრი სხვა მიმართულებით. ეს ძალიან კარგი შანსია მათთვის, რომ უმოკლესი გზით მოხვდნენ შრომით ბაზარზე და ღირსეული პროფესიული ცხოვრება ჰქონდეთ, – განაცხადა ჯეჯელავამ.

მისივე თქმით, საატესტატო გამოცდების საკითხები ელემენტარული იყო და მოსწავლემ ცოტა მაინც თუ ისწავლა, აუცილებლად ჩააბარებდა.

– როგორც კი იმ ადამიანს, რომელსაც შესაბამისი მოტივაცია არ აქვს, ოჯახი შეეცდება, რომ აუცილებლად უმაღლესში უკრას თავი, რა თქმა უნდა, რეპეტიტორიც დასჭირდება და ათასობით ლარის დახარჯვაც. ამ ხალხმა უნდა მოინდომოს. ალბათ ნანახი გაქვთ საგამოცდო საკითხები – უელემენტარულესია. ცოტა მაინც თუ ისწავლა, ყველა აბარებს, – განაცხადა ჯეჯელავამ.

მედიანიუსი

განათლების სისტემაში კრიზისია

მაია მიმინოშვილი სამინისტროს აკრიტიკებს

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი მაია მიმინოშვილი განათლების სამინისტროს აკრიტიკებს და ამბობს, რომ საატესტატო გამოცდებზე არსებული მაჩვენებელი, რომლის მიხედვითაც 11.000 მოსწავლე ჩაიჭრა, არის მაჩვენებელი იმისა, რომ „სერიოზული პრობლემების წინაშე ვდგავართ სასკოლო განათლების საფეხურზე“.

მიმინოშვილი ამბობს, რომ წლევანდელ შედეგებში ახალი არაფერია, რადგან თითქმის ანალოგიური იყო გასული წლისა.

ის მიიჩნევს, რომ განათლების დაბალი დონე მხოლოდ გამოცდების ცვლილებით ვერ გაუმჯობესდება. მისივე თქმით, განსაკუთრებით პრობლემებია მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო საგნებში.

– რბილად რომ ვთქვათ, სრულიად არასახარბიელო ვითარებაა, მაგრამ ეს, ალბათ, ანარეკლია სწორედ იმ პრობლემებისა, რომელიც სასკოლო განათლების საფეხურზე არსებობს და ამ პრობლემებს სჭირდება მოგვარება, თორემ მხოლოდ და მხოლოდ გამოცდებით პრობლემა არ გვარდება, – განაცხადა მაია მიმინოშვილმა.

მისივე თქმით, განათლების სისტემაში პრობლემას წარმოადგენს პედაგოგების კვალიფიკაციის საკითხი, რომელიც გადამწყვეტია განათლების სისტემის გაუმჯობესებისთვის. მიმინოშვილი სისტემაში არსებული პრობლემების დაყენებას 3-4 ივნისს დაგეგმილ კონფერენციაზე გეგმავს.

ნიუბოსტი

„პატრიარქმა ხელისუფლებას სილა გააწნა“

შორენა მარსაგიშვილი

„ვიღაცას ილია II-ის მაღალი რეიტინგი ძალიან აწუხებს“

რატომ არ დაესწრო ხელისუფლების მიერ გამართულ საზეიმო მიღებას ივანიშვილი, ვინ შეუვსო „ევროპულ საქართველოს“ სპორტის სასახლე, რატომ გააუქმა პატრიარქმა საზეიმო ღონისძიებები და რას ნიშნავდა ემიგრანტების მისამართით გაკეთებული განცხადება? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ყოფილი პოლიტდევნილი, დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი გიგლა ბარამიძე ესაუბრება.

გიგლა ბარამიძე:

– ჩვენმა სულიერმა ლიდერმა, რომელიც მთელი ამ წლების განმავლობაში ემიგრანტებს სამშობლოში დაბრუნებისკენ მოუწოდებდა, მათ ურჩია, რომ დარჩნენ იქ, სადაც ახლა ცხოვრობენ. ამით ილია II-მ ხელისუფლებას უთხრა, რომ ისინი არარაობები არიან. ამით მან „ქართული ოცნებას“ სილა გააწნა, ემიგრანტებს კი უთხრა, არ დაბრუნდეთ, რადგანაც აქ გელოდებათ ხელისუფლება, რომელიც მხოლოდ საკუთარი ჯიბის ამოვსებაზეა გამეცადინებული. იმის ნაცვლად, რომ დაკარგული ტერიტორიებისა და 1,5 მილიონი ქართველის სამშობლოში დაბრუნებაზე იმუშაონ, კონსტიტუციაში ისეთ რამეებს წერენ, რომლის ძალითაც უცხოტომელებს მიჰყიდიან ოკუპაციას გადარჩენილ ქართულ მიწებს.

ერთია, როცა ამას ოპოზიცია და ხელისუფლების მიმართ უარყოფითად განწყობილი საზოგადოება ამბობს და მეორეა, როცა ამ განცხადებას ერის სულიერი მამა აკეთებს. თუ ხელისუფლება ვერ მიხვდა ან თავს „იდურაკებს“, რომ ვერ მიხვდნენ, ეს მათი ჩვეული ვირეშმაკობის გამოვლინებაა. აშკარაა, რომ „ქართული ოცნება“ არ არის ის გუნდი, რომელსაც სიტუაციის გამოსწორება შეუძლია, არაფერს ვამბობ ქვეყნის გადარჩენის უნარებზე. ბღუჯა-ბღუჯა ხელისუფლების შეცვლის დრო დადგა.

ქვეყანაში კატასტროფულად მძიმე სოციალური ვითარება რომ არ ყოფილიყო, უწმინდესი ასეთ განცხადებას არ გააკეთებდა. ეს საეტაპო მნიშვნელობის სიტყვა და ლამის რევოლუციის ტოლფასი განცხადებაა.

– ამ განცხადებამდე რამდენიმე დღით ადრე საპატრიარქომ გაავრცელა განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ პატრიარქის აღსაყდრების 40 წლისთავთან დაკავშირებით დაგეგმილი ღონისძიებები უქმდება. ამ გადაწყვეტილებაზე რას ფიქრობთ?

– ესეც ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა. საპატრიარქოს განცხადებით, პატრიარქმა აღსაყდრების 40 წლისთავის აღნიშვნაზე უარი მსოფლიოში უმძიმესი ვითარების გამო თქვა და, რაც მთავარია, ხაზი გაესვა, რომ საქართველოშიც მძიმე სოციალური გარემოა. ამიტომ მართლმადიდებელი სამყაროს დელეგაციებს არ ეპატიჟებიან თბილისში.

ხელისუფლებამ ვერც ამ განცხადების მნიშვნელობა გაიგო. ესენი ხომ ნატოს, თაკოს და გივიკოს ძახილში არიან გართული და ჰგონიათ, ქვეყანას აშენებენ. რაც კარგად იციან, ეს არის მოპარვა.

ნაცვლად იმისა, რომ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებაზე მუშაობდნენ, რაღაც გაუგებარ ღონისძიებებს ატარებენ.. ვის რად უნდა ეს ნატოს საპარლამენტო ასამბლეები და ასეთი სამარცხვინო ფეხქვეშ გაგებები.

– სამარცხვინო ფეხქვეშ გაგებაში რას გულისხმობთ?

– ეს დღეები შეგვჭამეს იმის ძახილით, რომ თურმე ჩვენ ნატოს არაწევრი მეხუთე ქვეყანა ვართ, სადაც რაღაც გეგმური ასამბლეა იმართება. ეს ღონისძიება არანაირ გადაწყვეტილებას არ მიიღებს და ლაქლაქის გარდა არაფერს სხვას არ ითვალისწინებს.

აი, ამით ამაყობს ჩვენი ხელისუფლება. ამ გაჭირვებულებს ერთხელაც არ უხსენებიათ, რომ საქართველო არის ნატოს არაწევრი ქვეყნებიდან პირველ ადგილზე ავღანეთსა და ერაყში გაგზავნილი სამშვიდობო კონტინგენტის რაოდენობით.

ჩვენი ბიჭები იქ რომ იხოცებიან, ეს ვითომ არაფერი. სამაგიეროდ, დიდ მადლობას უხდიან ალიანსის წარმომადგენლებს იმისთვის, რომ აქ გეგმურ ღონისძიებაზე დასასწრებად ჩამოვიდნენ. ამათი არასერიოზულობის შედეგია ის სამარცხვინო ციანიდის სკანდალიც.

ასეთი რამე თავის დროზე კომუნისტებსაც არ უკადრიათ. მათი მმართველობის ძალიან გახმაურებული იყო კერატაშვილის საქმე. მიზეზი სხვა იყო მისი გადაყენების, მაგრამ კომუნისტებიც კი მოერიდნენ ქართული ეკლესიისთვის რაიმე ჩრდილის მიყენებას. მართალი იყო თუ არა ეს ბრალდებები, სხვა საკითხია, მაგრამ მაშინ ბევრი რამე არ გამოიტანეს საჯაროდ. მართო ამ ხელისუფლებამ ჩასცა ეკლესიას ზურგში ლახვარი. ეს შემთხვევით არ მომხდარა.

– ციანიდის სკანდალი მოგონილია და მხოლოდ ეკლესიის დისკრედიტაციას ისახავს მიზნად?

– იმას არ ვამბობ, რომ მოგონილია, მაგრამ, რაც ამ საქმის გარშემო ხდება, სამარცხვინო პროცესია.

ეს ის ხელისუფლებაა, რომელმაც საპატრიარქოსა და პატრიარქის თხოვნა არ გაითვალისწინა და სასწრაფო წესით მიიღო ანტიდისკრიმინაციული კანონი. ჩვენთვის კარგად არის ცნობილი იმ პირების ვინაობა, რომლებიც კანონის მიღების შემდეგ ქურდებივით ღამღამობით მიდიოდნენ საპატრიარქოში და ილია II-ს რაღაც ზღაპრებს უყვებოდნენ, ეუბნებოდნენ, რომ მათ არ სურდათ ამ კანონისთვის ხმის მიცემა და ამის გაკეთება აიძულეს.

ეს ის ხელისუფლება გახლავთ, რომელმაც არც უცხოელებზე მიწის გაყიდვის აკრძალვის თხოვნა გაითვალისწინა. ეს ყველაფერი შემთხვევით არ ხდება და ამიტომაც უწმინდესმა მათ უთხრა ის, რასაც წარმოადგენენ. სათქმელი ქადაგებაზე კი არ თქვა, პირში უთხრა. სხვა ამ მთავრობის ადგილზე ბოდიშებს მოიხდიდა, მაგრამ ამათ გაატარეს.

– ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის ღია დაპირისპირება დაიწყო?

– ეს ღია დაპირისპირება არ არის. ეკლესია და პატრიარქი არავის დაპირისპირებიან. ნაციონალების მსგავსად, „ქართულ ოცნებაშიც“ არიან ჯგუფები, რომლებიც ვერ იტანენ პატრიარქის მუდმივად მაღალ რეიტინგს. ამიტომაც უჩიჩკინებენ ეკლესიას, ჰგონიათ, რომ საპატრიარქოს ავტორიტეტის დასუსტებით ამათ მოემატებათ რამე.

– ბიძინა ივანიშვილი დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ საზეიმო მიღებას არ დასწრებია. წინა წლებში ყოველთვის ესწრებოდა საზეიმო მიღებას. მის მიუსვლელობას უკვე მოჰყვა პოლიტიკური მითქმა-მოთქმა. თქვენ რას იტყვით ამაზე?

– ეს მითქმა-მოთქმა უსაფუძვლო არ არის. მე „ახალ თაობასთან“ არაერთხელ ვთქვი, რომ გუნდში დაპირისპირებაა და ლამისაა, დაჭამეს ერთმანეთი. ახლა თბილისის მერის კანდიდატურაზე ჩხუბობენ – გუნდის ნაწილი ნარმანიას უჭერს მხარს, მეორეს კალაძე უნდა, მესამე გუნდი სულ სხვას ქომაგობს. ცალკეა პრემიერის გუნდი. თავისი გუნდი ჰყავს დიმიტრი ქუმსიშვილს.

საქმის კეთების ნაცვლად მთავრობა ბღუჯა-ბღუჯა ინტრიგებიხ ხლართვით არის დაკავებული. სამაგიეროდ, ძალა, რომელმაც 9 წლის განმავლობაში საქართველო სისხლში აბანავა, სპორტის სასახლეში ყრილობას მართავს, მუშტებს იქნევს და ხელისუფლებაში დაბრუნებით იმუქრება.

გიგლა ბარამიძე: „ბიძინა ივანიშვილი „ქართულ ოცნებაზე“ გაბრაზებულია“

„ევროპულ საქართველოდ“ გადაქცეული ნაციონალები უკვე დაბრუნებული არიან ხელისუფლებაში. შესანიშნავი თანამდებობებიც მიიღეს. ამ პარტიის ლიდერებს, გიგა ბოკერიას თამადობით, შესანიშნავი ურთიერთობები აქვთ ბიძინა ივანიშვილთან.

მოქმედი ხელისუფლებიდან ვერცერთმა თანამდებობის პირმა ვერ გაამართლა. ქვეყნის გარეთ არავინ არაფერს გვეკითხება. შიგნით საშინელი ვითარებაა. ქუჩაში 10 ადამიანი რომ გააჩერო, იქედან 9,5 „ქართულ ოცნებას“ მკვდარსა და ცოცხალს დედას აგინებს.

რამდენიმე თვეში თვითმმართველობის არჩევნების ტარდება. „ოცნების“ ამოსაჩაჩად ივანიშვილს დიდი ძალისხმევა დასჭირდება. მას ფინანსური საკითხების მოგვარებაც მოუწევს. მაინტერესებს, რისი იმედი აქვთ, როცა არჩევნების წინ სოფლის მეურნეობის ვინმე უტრუხუნე მინისტრი აცხადებს, რომ სეტყვით დაზარალებულებს მთავრობა არ დაეხმარება. სამაგიეროდ, პენსიონერ ტაილერს აეროსმიტიდან ხომ აუნაზღაურეს 5 მილიონი ჩვენი ჯიბიდან.

ეს ყველაფერი ივანიშვილის გამოსასწორებელია და ალბათ ამიტომაც არ მივიდა საზეიმო მიღებაზე. მართალია, ეს ხელისუფლება მან დაგვიტოვა, მაგრამ მთავარი პრობლემა მაინც ამომრჩეველშია.

– ამომრჩეველში რატომ?

– იმიტომ, რომ ამომრჩეველთა დიდი ნაწილი მზადაა, თავისი ხმა გარკვეული თანხის სანაცვლოდ გაყიდოს. ხალხს უჭირს, მაგრამ ქვეყნის მომავლის გაყიდვა არ შეიძლება.

– მოდით, ისევ ივანიშვილს დავუბრუნდეთ. თქვენი საუბრიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, ის თავის გუნდზე გაბრაზებულია.

– გულაცრუებული და ნაწყენია „ოცნებაზე“. ამ ყველაფერზე იმიტომ ვერ რეაგირებს სათანადოდ, რომ ზუსტი ინფორმაციები არ აქვს.

– მას ინფორმაციებს უმალავენ?

– და ვინ უნდა მიაწოდოს ინფორმაცია? იმ ხალხმა, საკუთარი ჩრდილისაც რომ ეშინია? მას გვერდით სულ რამდენიმე ადამიანი ჰყავს, ისინი კი ზუსტ ინფორმაციებს არ აწვდიან. მან არ იცის, როგორია ხალხის განწყობა და რა ხდება ქვეყანაში.

2012 წელს მან ძალიან დიდი საქმე გააკეთა და ის სისხლიანი რეჟიმი შეცვალა, რომელიც ქვეყანასა და ხალხს აუბედურებდა. დღევანდელი ხელისუფლება ივანიშვილს ყველაფერს წყალში უყრის. შეუსრულებელი დაპირებების გამო ხალხი პასუხს ბესელიასა და კობახიძეს არ მოსთხოვს. ყველა მას მიადგება. ამ ადამიანს მოქნილი ტვინი კი აქვს, მაგრამ კადრებს ვერ არჩევს. დროა, სხვებისთვისაც ისწავლოს მოსმენა. ეს მისთვისაც კარგი იქნება და ქვეყნისთვისაც.

– პატრიარქის ეს განცხადება და ივანიშვილის გაბრაზება თუ იმოქმედებს შემოდგომაზე დაგეგმილი არჩევნების შედეგებზე?

– აუცილებლად იმოქმედებს. ხალხს არც ის დარჩება შეუმჩნეველი, როგორ დაუახლოვდა „ოცნება“ ყოფილ ხელისუფლებას. სისხლიანი რეჟიმის წარმომადგენლებს ყრილობისთვის სპორტის სასახლე გაუვსეს. გიგა ბოკერია და მილიონების მიმთვისებელი გიგი უგულავა ნიშნის მოგებით ელაპარაკებოდნენ ხალხს. იმავეს აკეთებდა დავით ბაქრაძე, დასაქოქ დათვს რომ ჰგავს.

ხალხი არც იმას დაივიწყებს, როგორ იქცეოდნენ ხელისუფლების წარმომადგენლები 26 მაისის აღლუმზე. რომელი პოპვარსკვლავები ეგენი იყვნენ, ფერადი სათვალეებით რომ გამომეცხადნენ სცენაზე. როგორი მზეც არ უნდა იყოს, ოფიციალური პირები ასეთ ღონისძიებებზე ფერადი სათვალეების გარეშე დგანან.

ამ ფერადსათვალიანებმა თავიანთ გამოსვლებში 70-ჯერ მაინც ახსენეს ნატო და საყველპურად ღარიბი ნათესავივით თითოჯერ ახსენეს შოთა რუსთაველი, რომლის მსგავსი მოაზროვნეც ამ ქვეყანას არ ჰყოლია.

საქართველო აღარც საერთაშორისო ასპარეზზე ჩანს, ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე კი პატრიარქის მიმართვაც ნათლად მეტყველებს. ახლა ბევრი რამე ამომრჩეველზე იქნება დამოკიდებული.

„საქართველო აღარ არის „პოსტ“-ქვეყანა“

პრემიერმა ბრატისლავაში რუსეთის წარმომადგენლის რეპლიკას უპასუხა

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხები, მიმდინარე დემოკრატიული რეფორმები, ქვეყნის გეოპოლიტიკური როლი, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესები და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფორმატში თანამშრომლობის განვითარების შესაძლებლობები – ეს ის მთავარი თემებია, რომლებზეც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გლობალური უსაფრთხოების ფორუმის ფარგლებში გამართულ სესიაზე სიტყვით გამოსვლისას ისაუბრა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა რუსეთის ფედერაციის დუმის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე ვიაჩესლავ ნიკონოვის რეპლიკას უპასუხა. ნიკონოვმა განაცხადა, რომ რუსეთი არ არის წინააღმდეგი, საქართველო და უკრაინა ევროკავშირში გაწევრიანდნენ, თუმცა წინააღმდეგია საქართველო-უკრაინის ნატოში ინტეგრაციისა.

– საქართველო აღარ არის „პოსტ“-ქვეყანა. დროა, დავივიწყოთ ეს „პოსტ“ წინსართი. ჩვენ ვართ ქვეყანა, რომელსაც ყველა გაგებით შეიძლება ვუწოდოთ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყანა.

საქართველოში არის ერთ-ერთი ყველაზე დაბალი კორუფციის მაჩვენებელი და ამ მხრივ ბევრ ევროპულ სახელმწიფოსაც ვუსწრებთ. ჩვენ გვაქვს მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ბიზნესგარემო. მსოფლიო ბანკის რეიტინგის თანახმად, ამ მხრივ მე-16 ადგილზე ვართ მსოფლიოში.

რუსეთი მხარს უჭერს საქართველოს ინტეგრაციას ევროკავშირში? რას წარმოადგენს საქართველო რუსეთისთვის? სწორედ ეს არის მთავარი კითხვა. როგორია საქართველოს რუკა? რომელ ქვეყანაზე ლაპარაკობს რუსეთი? ესაა მთავარი კითხვები. ბოდიში, მაგრამ ფრაზა ეკონომიკური ზრდის დაბალი სიჩქარის შესახებ იქ, სადაც სტაბილურობას ძირს უთხრის რუსეთის მხრიდან ინტერვენცია, ძალიან სარკასტულად ჟღერს, – განაცხადა კვირიკაშვილმა.

რუსეთზე საუბრისას საქართველოს პრემიერ-მინისტრმა განაცხადა: „ მეზობლები მტრებად არ უნდა აქციო“.

– სტაბილური და დემოკრატიული მეზობლების გარემოცვაში ყოფნა ყველა ჩვენგანის ინტერესებში შედის. მეორე მხრივ, ეს პარტნიორობა უნდა ეფუძნებოდეს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის, ასევე სხვა სახელმწიფოებისა და მეზობლების სუვერენული გადაწყვეტილების პატივისცემის ძირეულ პრინციპებს, – აღნიშნა პრემიერმა.

ნიუპოსტი

დევიდ კრამერი: „ამ ეტაპზე ნატოსა და ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანების სერიოზული პერსპექტივა არ ჩანს“

– საქართველოს მთავრობას სჯერა, რომ წინა (ნაციონალურმა) ხელისუფლებამ მოსახლეობა შეცდომაში შეიყვანა და შეუქმნა მცდარი წარმოდგენა, რომ ნატოში გაწევრიანება სწრაფად მოხდებოდა. ამის გამო ქვეყანაში ნატოსთან დაკავშირებით შეიქმნა ილუზია და იმედგაცრუება, – აცხადებს ამერიკის სახელმწიფო მდივნის ყოფილი მეორე მოადგილე დევიდ კრამერი, რომელსაც „ამერიკის ხმა“ საქართველო-აშშ-ის ურთიერთობებსა და რუსეთის რბილი ძალის საფრთხეებზე ესაუბრა.

– რუსეთის მიმართ პოლიტიკის შემუშავება ნელი ტემპით მიმდინარეობს. როგორ ფიქრობთ, დრო წარმოადგენს თუ არა მნიშვნელოვან ფაქტორს საქართველოსთვის? არის თუ არა საშიშროება, რომ საქართველოს შესაძლოა მეტი ზიანი მიადგეს თეთრ სახლში რუსეთის პოლიტიკის შემუშავების გაჭიანურების შემთხვევაში?

– პრობლემა პრეზიდენტ ბარაკ ობამას ადმინისტრაციის დროს დაიწყო. მაშინ გვქონდა პოლიტიკა, რომელიც რუსეთზე იყო მორგებული. ეს პოლიტიკა რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიამდე ძალაში დარჩა. დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის დასაწყისში ეს თითქოს გრძელდება – სახელმწიფო მდივანი რექს ტილერსონი მოსკოვში ჩავიდა, მაგრამ კიევში ან თბილისში მსგავსი ვიზიტები არ ყოფილა. სწორედ აქ შეუძლია კონგრესს ძალიან მნიშვნელოვანი როლის თამაში იმაში დასარწმუნებლად, რომ ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის ურთიერთობის გაუმჯობესება ამერიკა-საქართველოს ურთიერთობის ხარჯზე არ მოხდეს.

– თქვენი აზრით, პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი თეთრ სახლში არსებული ამ გაურკვევლობით სარგებლობს?

– დიახ. ვლადიმირ პუტინს ორი სასურველი სცენარი ჰქონდა – ერთი ის იყო, რომ პრეზიდენტი დონალდ ტრამპი მოვიდოდა და რუსეთს სანქციებს მოუხსნიდა, მაგრამ ეს არ მოხდა. თუმცა მეორე სცენარი მართლდება – კრემლს იმედი ჰქონდა, რომ ადმინისტრაციას ამერიკის შიდა პოლიტიკაში მიმდინარე პროცესებზე მოუწევდა ყურადღების გამახვილება და ეს ასეც ხდება.

ვლადიმირ პუტინი ოპორტუნისტია და ყოველთვის ელოდება შანსს, როცა შეერთებული შტატები ყურადღებას მოადუნებს. ვფიქრობ, მის მოქმედებებს ყურადღებით უნდა დავაკვირდეთ. ასევე უნდა გვახსოვდეს, რომ მომავალ წელს რუსეთში არჩევნები ჩატარდება. მართალია, ვლადიმირ პუტინს ოფიციალურად ჯერ არ გამოუცხადებია, რომ კენჭს იყრის, მაგრამ ის არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს. ბევრი ნაბიჯი, რომელსაც იგი გადადგამს, სწორედ ამ პრიზმიდან უნდა დავინახოთ. იგი ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ 2018 წლის მარტში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვოს.

– რუსეთის რბილ ძალასა და დეზინფორმაციას, თქვენი აზრით, აქვს რაიმე გავლენა თეთრის სახლის დამოკიდებულებაზე მოსკოვის მიმართ?

– არჩევნებში ჩარევა ერთ-ერთი ასეთი საკითხია. ეს უპრეცედენტო შემთხვევა იყო, როცა რუსეთმა ინფორმაცია გამოიყენა იმისთვის, რომ არჩევნებზე გავლენა მოეხდინა. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამან არჩევნების ბედი გადაწყვიტა, მაგრამ ეს ნაბიჯი უდავოდ უპრეცედენტო ჩარევა იყო ჩვენს არჩევნებში. კრემლი იყენებს შეთხზულ სიახლეებს, „რაშა თუდეის“, „სპუტნიკისა“ და სხვა საშუალებებს იმისთვის, რომ დასავლეთში საზოგადოებრივი აზრის მანიპულირება შეძლოს.

– წარმოადგენს თუ არა საფრთხეს რუსეთის საინფორმაციო კამპანიის გაძლიერება რეგიონში, იქნება ეს რადიოსადგური „სპუტნიკი“ თუ სხვა საინფორმაციო საშუალებები და არასამთავრობო ორგანიზაციები?

– ჩემი აზრით, ის ადამიანები, რომლებიც ამბობენ, რომ მცირე ზომის სააგენტოებს (ან ტელერადიოკომპანიებს), რომლებსაც დაბალი რეიტინგი აქვთ, ყურადღება არ უნდა მივაქციოთ, შეცდომას უშვებენ. რეიტინგს დიდი მნიშვნელობა არ აქვს. ამ მცდარი ინფორმაციის გავრცელების მიზანი ის არის, რომ საზოგადოებაში შეიქმნას გაურკვევლობა და ადამიანებმა ვერ შეძლონ სანდო ინფორმაციის თავდაპირველი წყაროს დადგენა.

– როგორ შეიძლება საქართველოს მთავრობა უფრო ეფექტური იყოს რუსული პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლაში?

– ჩემი აზრით, უნდა ვაღიაროთ ის, რომ ადამიანები, რომლებიც „სპუტნიკსა“ და „რაშა თუდეიში“ მუშაობენ, ჟურნალისტები არ არიან. ისინი ახალ ამბებს კი არ აშუქებენ, ცრუ ინფორმაციასა და პროპაგანდას ავრცელებენ. მე დიდ პატივს ვცემ ყველა ჟურნალისტს, მათი ჩათვლით, ვინც ამერიკას მკაცრად აკრიტიკებს. მაგრამ „სპუტნიკისა“ და „რაშა თუდეის“ თანამშრომლებს ისე არ უნდა მოვექცეთ, როგორც ჟურნალისტებს – ისინი პროპაგანდისტები არიან. ამის გამო, ვფიქრობ, ისინი სამთავრობო პრესკონფერენციებზე არ უნდა დაუშვან, მაგრამ ამას კრემლის პასუხი მოჰყვება და მოსკოვში ნამდვილი ჟურნალისტების წინააღმდეგ ზომები გატარდება.

– ზოგიერთი ექსპერტი საქართველოს მთავრობას პრორუსულ საინფორმაციო წყაროებში რეკლამის განთავსებისთვის აკრიტიკებს...

– ამას მხოლოდ საქართველოს მთავრობა არ აკეთებს. ამერიკული კომპანიები, საერთაშორისო ბიზნესები ხშირად ყიდულობენ რეკლამას, მაგალითად, რუსეთის ტელევიზიის „პირველ არხზე“. მათ, ცხადია, რუსულენოვან მომხმარებელზე უნდათ გასვლა. ამაში პრობლემას ვერ ვხედავ. პრობლემა ისაა, თუ ამ თანხებით რუსული პროპაგანდის ხელშეწყობა ხდება.

– არსებობს მოსაზრება, რომ რუსეთის მიმართ სიფრთხილის გამოჩენის მიზნით საქართველო ევროპისკენ ისე აქტიურად არ მიიწევს, როგორც შეუძლია. თქვენ რას ფიქრობთ ამ მოსაზრებაზე?

– ვფიქრობ, საქართველოს ორი დიდი გამოწვევა აქვს. ერთი ისაა, დაძაბავენ თუ არა რუსეთთან ურთიერთობას დასავლეთისკენ უფრო აქტიური სწრაფვით. შესაძლოა დაიძაბოს, მაგრამ საქართველომ ეს მაინც უნდა გააკეთოს იმიტომ, რომ ეს ქვეყნის ინტერესებში შედის. ნებისმიერი ქვეყნისთვის ევროინტეგრაციის პროცესი რთულია, მაგრამ როცა ეს პროცესი მთავრდება და ქვეყანა ნატოს წევრი ხდება, ის გაცილებით დაცულია, ვიდრე ნატოს გარეშე იქნებოდა. ამას მეორე გამოწვევამდე მივყავართ: მთავრობას სჯერა, რომ წინა ხელისუფლებამ ხალხი შეცდომაში შეიყვანა და შეუქმნა მცდარი წარმოდგენა, რომ ნატოში გაწევრიანება სწრაფად მოხდებოდა. ამის გამო კი ქვეყანაში ნატოსთან დაკავშირებით შეიქმნა ილუზია და იმედგაცრუება. კი, საქართველომ მიიღო ვიზალიბერალიზაცია და თავისუფალი ვაჭრობა, მაგრამ ამ ეტაპზე ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანების სერიოზული პერსპექტივა არ ჩანს. ვფიქრობ, ამ გამოწვევის გადალახვა ძალიან მნიშვნელოვანი იქნება როგორც მთავრობის, ასევე საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებისთვის.

ნიუსპრესი

გიორგი კვირიკაშვილი: „უცხოეთში ქართული ეკლესიებისა და სამრევლოების რიცხვის ზრდა და გაძლიერება მნიშვნელოვნად მიგვაჩნია“

– მნიშვნელოვნად მიგვაჩნია უცხოეთში ქართული ეკლესიებისა და სამრევლოების რიცხვის ზრდა და გაძლიერება, რასაც საქართველოს საპატრიარქოსთან თანამშრომლობით აუცილებლად შევუწყობთ ხელს, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა დიასპორის დღისადმი მიძღვნილ ფორუმზე.

მთავრობის მეთაურმა მადლობა გადაუხადა პატრიარქს იმისათვის, რომ 40 წლის განმავლობაში, განსაკუთრებულ სითბოს უნაწილებდა თითოეულ საქართველოს მოქალაქეს, რომლებიც უცხოეთში ცხოვრობენ და საქმიანობენ.

გიორგი კვირიკაშვილი:

– მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, უცხოეთში ქართული ეკლესიებისა და სამრევლოების რიცხვის ზრდა და გაძლიერება, რასაც საქართველოს საპატრიარქოსთან თანამშრომლობით აუცილებლად შევუწყობთ ხელს. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ჩვენს თითოეულ თანამემამულეს, რომელმაც წვლილი შეიტანა უცხოეთში ქართული ეკლესია-მონასტრებისთვის უძრავი ქონების შეძენის საქმეში. ამას უდიდესი როლი ენიჭება ჩვენი თვითმყოფადობის შენარჩუნების მიმართულებით.

მინდა, თითოეული ჩვენი თანამემამულის სახელით, განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო მის უწმინდესობას, იმისთვის, რომ ის მთელი ამ 40 წლის განმავლობაში, განსაკუთრებულ სითბოს უნაწილებდა თითოეულ ჩვენს თანამემამულეს, რომელიც უცხოეთში ცხოვრობს და მოღვაწეობს. ნამდვილად ძალიან მნიშვნელოვანია ის სითბო, რომელსაც ისინი იღებენ ჩვენი პატრიარქისგან. დიდი მადლობა ჩვენს პატრიარქს ამ განსაკუთრებული სითბოსთვის და განსაკუთრებული ზრუნვისთვის, რომელსაც ის იჩენს ჩვენი დიასპორის წარმომადგენლების მიმართ.

ჩვენ მზად ვართ, მხარი დავუჭიროთ ნებისმიერ ინიციატივას, რომლებიც დაეხმარება ქართული დიასპორის კონსოლიდაციას, მის ეფექტიან თანამშრომლობას სამშობლოსთან, საზღვარგარეთ საქართველოს პოპულარიზაციასა და საერთაშორისო მხარდაჭერას, – განაცხადა პრემიერმა.

მედიანიუსი

ვლადიმერ ჩაჩიბაია: „ჩვენ გვყავს ერთ-ერთი უძლიერესი სერჟანტთა კორპუსი“

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის, გენერალ-მაიორ ვლადიმერ ჩაჩიბაიას განცხადებით, ქართული შეიარაღებული ძალების ფორმირებასა და განვითარებაში დიდი წვლილი აქვთ შეტანილი უცხო ქვეყნებს.

როგორც ჩაჩიბაიამ ნატოს საპარლამენტო ასამბლეის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას თქვა, სერჟანტთა ინსტიტუტის ჩამოყალიბებამ ასევე დადებითად იმოქმედა ჯარის შემდგომ განვითარებასა და მსოფლიო სტანდარტებთან მიახლოებაში.

– განსაკუთრებული მხარდაჭერა იქნა აღმოჩენილი ამერიკელების, ბრიტანელების, ფრანგების, თურქების, იტალიელების, ბალტიის ქვეყნების, რომლებმაც ხელი შეუწყვეს საქართველოს განათლების სისტემის ჩამოყალიბებაში, რადგან შეიარაღებული ძალების მნიშვნელოვანი ქვაკუთხედი და საბაზისო საფუძველი ეს არის ეფექტური განათლების სისტემის ჩამოყალიბება.

ამ კუთხით ჩვენ შეგვიძლია სიამაყით ვთქვათ, რომ საქართველოს აქვს ერთ-ერთი მოწინავე საგანმანათლებლო დაწესებულება – აკადემია, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს რეგიონში ერთ-ერთ საუკეთესოდ. ასევე მნიშვნელოვანი იყო სერჟანტთა ინსტიტუტის განვითარება. ჩვენ ვართ საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე. სამართალმემკვიდრე არა მარტო ინფრასტრუქტურული ან ტექნიკური საშუალებების, ასევე გარკვეულწილად მენტალიტეტის და ძალიან რთული იყო საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ისეთი სერჟანტთა ინსტიტუტის დაფუძნება, რომელიც თვისობრივად განსხვავდებოდა საბჭოური მოდელისგან, მაგრამ დღეს ასევე შეგვიძლია სიამაყით ვთქვათ, რომ ჩვენი დასავლელი პარტნიორების დახმარებით გვყავს ერთ-ერთი საუკეთესო და უძლიერესი სერჟანტთა კორპუსი, ადამიანები, რომლებიც 24 საათის განმავლობაში მუხლმოუდრეკლად ასრულებენ თავის მოვალეობას და არაერთგზის უსახელებიათ საქართველო საერთაშორისო მისიებსა და ტერიტორიული მთლიანობისთვის გამართულ ბრძოლებში, – განაცხადა ჩაჩიბაიამ.

ჩაჩიბაიამ ასევე აღნიშნა, რომ პოლიტიკური ნების წყალობით შეიარაღებულ ძალებში მნიშვნელოვანი რეფორმები ჩატარდა. მისივე თქმით, რეფორმებისას საქართველომ დიდწილად გამოიყენა 2008 წლის ომის გამოცდილებაც.

მედიანიუსი

ლევან იზორია: „საქართველო რომ სანდოა ნატო-სთვის, თითოეული ჯარისკაცის დამსახურებაა“

– საქართველო რომ სანდოა ნატო-სთვის, თითოეული ჯარისკაცის დამსახურებაა. ვულოცავ სრულიად საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, განსაკუთრებით ვულოცავ შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებს, რომლებიც ასრულებენ ჩვენი ქვეყნისთვის უდიდეს მისიას, – ამის შესახებ ჟურნალისტებს თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ განუცხადა.

– მივულოცავ სრულიად საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს. განსაკუთრებით ვულოცავ შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებს, რომლებიც ასრულებენ უმნიშვნელოვანეს ფუნქციას და მისიას საკუთარი ქვეყნის წინაშე, იცავენ მის სუვერენიტეტს, იცავენ მის ღირსებას. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო იმ ჯარისკაცების ღვაწლი, რომლებიც საერთაშორისო მისიის ფარგლებში ავღანეთში იმყოფებიან. მქონდა შესაძლებობა მათთვის მიმელოცა ეს დღე და აღმენიშნა, რომ ისინი ჩვენს პასუხისმგებლობასაც იღებენ საკუთარ თავზე თავიანთი სამშობლოს დასაცავად. ვუთხარი მადლიერების სიტყვები თითოეული მოქალაქის სახელით, გამოვხატე დიდი პატივისცემა თითოეული ჯარისკაცის მიმართ, რომელთა დიდი დამსახურებაც არის ჩვენი ქვეყნის განვითარება, ჩვენი ქვეყნის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების პერსპექტივა, – განაცხადა იზორიამ.

მისივე თქმით, ქვეყანა რომ არის ასეთი აღიარებული, ქვეყანა რომ არის სანდო ნატო-სთვის, თითოეული ჯარისკაცის დამსახურებაა.

– დღეს სწორედ ამ ხალხმა, რომელმაც ყველაზე მეტად იცის ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის, თავისუფლების, ღირსების დაცვის ფასი, ყველაზე მეტად ზეიმობენ და ყველაზე მეტად იღებენ პასუხისმგებლობას თავიანთი ქვეყნის წინაშე, – განაცხადა თავდაცვის მინისტრმა.

საქართველოდან მატყლის ექსპორტი იზრდება — „პრობლემა საექსპორტო ფასია, რაც საკმაოდ მცირეა“

ქართული მატყლი ცხოველური წარმოშობის პირველი პროდუქტია, რომელიც საქართველოდან ევროკავშირის ბაზარზე გავიდა. ე.წ. მესამე ქვეყნების იმ სიას, რომლებიდანაც ევროკავშირში დაუმუშავებელი მატყლის შეტანა შეიძლება, საქართველო 2017 წლის დასაწყისში დაემატა და პირველ ჯერზე 22 ტონა მატყლი დიდ ბრიტანეთში გავიდა. ევროკავშირში გატანამდე, ქართული მატყლის ექსპორტი ძირითადად, თურქეთსა და უკრაინაში ხორციელდებოდა.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, ბოლო წლების განმავლობაში მატყლის ექსპორტი მნიშვნელოვნად გაიზარდა. კერძოდ, 2014 წელს ქვეყნიდან 129.500 ათასი დოლარის ღირებულების მატყლი გავიდა, 2015 წელს – 125.100 ათასი დოლარის, ხოლო 2016 წელს – 539.100 ათასი დოლარის. 2017 წლის 4 თვეში კი უკვე 236,6 ათასი დოლარის მატყლის ექსპორტი განხორციელდა.

ექსპორტის ზრდას აფასებს სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი. მისი თქმით, საქართველომ მატყლის ევროპაში შეტანით გარკვეულ წარმატებებს უკვე მიაღწია.

ევროკავშირში მატყლი ძირითადად ორ ქართულ კომპანიას გააქვს – შპს „ჯორჯიან ვულს“ და შპს „ქართული მატყლის კომპანიას“. რაც შეეხება მატყლის საექსპორტო ფასს, ამასაც ევროკავშირი ადგენს და ფასი საერთაშორისო ვალუტის კურსთან პირდაპირ კავშირშია.

როგორც „ქართული მატყლის კომპანიის“ დირექტორი ზაურ კულიევი „კომერსანტთან“ საუბრისას აღნიშნავს, მათმა კომპანიამ მიმდინარე წელს ექსპორტზე დაახლოებით 500 ტონა მატყლი გაიტანა. აქედან დიდ ბრიტანეთსა და უკრაინაში ყველაზე მეტი რაოდენობა გავიდა.

– ჩვენს კომპანიას დაუმუშავებელი მატყლი სამ ქვეყანაში გააქვს – ინდოეთში, ბრიტანეთსა და უკრაინაში. ახლა ჩინეთთან მიდის მოლაპარაკებები და საკმაოდ დიდი პარტიის გატანა იგეგმება. მთლიანობაში ჩვენ ექსპორტზე დაახლოებით 500 ტონა მატყლი გაგვაქვს. აქედან 200 ტონა ბრიტანეთში გავიდა, 200 – უკრაინაში და 100 ტონა ინდოეთში. ინდოეთში მატყლის შეტანა ახალი დაწყებული გვაქვს, მაგრამ რაც ევროკავშირის ბაზარი გაგვეხსნა, უფრო მეტი გაგვაქვს. მანამდე მხოლოდ თურქეთსა და უკრაინაში გაგვქონდა. მატყლზე მოთხოვნა დიდია და ჯერჯერობით მოთხოვნას სრულად ვაკმაყოფილებთ. ქვეყანაში ცხვრის მარაგიც საკმარისად არის. ძირითადად, მატყლის მიღება ქვემო ქართლში, კახეთსა და ყაზბეგში ხდება“, – აღნიშნავს ზაურ კულიევი.

მისი თქმით, ექსპორტზე გატანისას პრობლემები არ ექმნებათ. ერთადერთი, რაც პრობლემურია, მატყლის გასუფთავებაა.

– ამჟამად, ექსპორტზე გატანისას პრობლემები არ გვექმნება. ერთადერთი პრობლემა არის ის, რომ მატყლი ტომრებშია არეული და მისი გასუფთავება გვიწევს. როგორც იცით, ქვეყნიდან დაუმუშავებელი მატყლი გაგვაქვს, გაჩეჩვის გარეშე. ამიტომ მას ვერ გავრეცხავთ. მხოლოდ გასუფთავება შეგვიძლია, რაც რთულია. ასაღებ ფასს რაც შეეხება, ევროკავშირის სტანდარტები რაც არის, იმ ფასში გაგვაქვს. ბოლოს 1 ტონა 500 ლარად გავიტანეთ, – აცხადებს კულიევი.

მისივე თქმით, სამომავლოდ ქართული მატყლის იტალიაში გატანას გეგმავს. მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია და სექტემბერში იტალიურ მხარეს საქართველოში ელოდებიან.

„ჯორჯიან ვულ“-ის დირექტორი გია ხადილაშვილი კი აცხადებს, რომ ჯერჯერობით მისმა კომპანიამ საკმარისი მოგება ვერ ნახა და მიზეზად იმას ასახელებს, რომ კომპანიას მატყლის ექსპორტი ახალი დაწყებული აქვს.

– სანამ ევროკავშირში გავიტანდით, მანამდე მატყლი არსად გაგვქონდა. ზოგადად ეს საქმე ახალი დაწყებული გვაქვს. ჩვენს კომპანიას ხელშეკრულება მხოლოდ ინგლისთან აქვს დადებული. ჯერჯერობით საკმარისი მოგება არ გვინახავს და ნაკლებად კმაყოფილები ვართ, მაგრამ სამომავლოდ უფრო მეტ მოგებას ველოდებით. ასევე, ახალი კონტრაქტორი ქვეყნების მოძიების პროცესში ვართ, – აღნიშნა ხადილაშვილმა.

ამასთან, „ჯორჯიან ვულ“-ის დირექტორი საექსპორტო ფასით უკმაყოფილოა.

– ზოგადად, მატყლის გატანა მარტივად ხდება, ამ მხრივ პრობლემები არ გვექმნება. სახელმწიფოს მხრიდანაც ხელშეწყობა არის. დიდი ხელშეწყობაა, რომ ევროკავშირის ქვეყნებში გზა გაგვეხსნა. ყოველ შემთხვევაში, ქვეყანაში ხელის შემშლელი რაიმე ფაქტორი არ არსებობს. თუმცა პრობლემა არის საექსპორტო ფასი, რაც, ჩემი აზრით, საკმაოდ მცირეა, – განაცხადა გია ხადილაშვილმა.

„აფხაზეთში დრო გაჩერებულია“

ნორვეგიელი ჟურნალისტების რეპორტაჟი სოხუმიდან

საინფორმაციო სააგენტო ნიუსპრესი გთავაზობთ ნორვეგიულ გაზეთ აფტონპოსტენსში“ გამოქვეყნებულ სტატიას აფხაზეთის შესახებ.

რუსეთის იმპერატორის ოჯახს, შემდეგ კი კაგებესა და საბჭოთა ლიდერებს, იოსებ სტალინიდან დაწყებული და ლეონიდ ბრეჟნევით დამთავრებული, ყველას ერთი აზრი ჰქონდა: აფხაზეთი ევროპის ერთ-ერთი უმშვენიერესი საკურორტო და დასასვენებელი რეგიონი უნდა გამხდარიყო. სამეფო დინასტიის დიდი მთავრებიც და კომუნისტი ლიდერებიც სუბტროპიკებში დასვენებას ამჯობინებდნენ – შავი ზღვის თეთრ პლაჟებზე.

– ფრთხილად იყავით, აფხაზეთში უკანონობა სუფევს, – გამაფრთხილა რუსმა მესაზღვრემ აფხაზეთში შესვლისას.

მართლაც შესამჩნევია, რომ ამბოხებულ რესპუბლიკაში დრო თითქოსდა გაჩერებულია.

– აქ ომის შემდეგ თითქმის არაფერი არ გაკეთებულა, – ამბობს ოლია, რომელიც საბჭოური ოცნების ქალაქ გაგრაში თავის გოგონას, მარიას, ასეირნებს.

1993 წელს მომხდარმა ომმა აფხაზეთს ის შედეგი მოუტანა, რომ მოსახლეობის ნახევარი, ძირითადად ქართველები, ქვეყნიდან იქნენ გაძევებული. ომის დროს ორივე მხარე უკან არ იხევდა მასობრივი მკვლელობებისა და დარბევა-ყაჩაღობის ჩადენაზე. ირგვლივ ეკალბარდიანი და გავერანებული, ნახევრად დანგრეული და მიტოვებული ქართველების სახლები ჩანს.

იმ დროს, როცა მსოფლიოს ლიდერები უკრაინით, ჩრდილოეთ კორეით, სირიითა და დონალდ ტრამპით არიან დაკავებულები, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი აფხაზეთს ეწვია – პირველად ბოლო ექვსი წლის განმავლობაში.

ეს ფაქტი აპრილში მოხდა. ვიზიტის ოფიციალური მიზანი სოხუმის ყველაზე დიდი ახალმშენებლობის – რუსეთის საელჩოს ახალი შენობის გახსნა იყო, თუმცა მხარეები იმავდროულად აფხაზებისთვის რუსეთის მოქალაქეობის მისაღებად გაიოლებული პროცედურის შესახებაც შეთანხმდნენ.

– სერგეი ლავროვი ცდილობს, ოკუპირებული ტერიტორიების რეჟიმებს აჩვენოს, რომ რუსეთი მათ არ მიატოვებს და საერთაშორისო არენაზე მხარს დაუჭერს, თუმცა ეს ყველაფერი ილუზიაა, – განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ რადიო „თავისუფალი ევროპა//თავისუფლების“ ეთერში.

ამასთან, როგორც ბოლო თვეებში მომხდარი მოვლენები მოწმობს, რუსეთი ნელა, მაგრამ მაინც აშკარად იმარჯვებს ევროპის რამდენიმე გაყინულ კონფლიქტთან მიმართებით: სერგეი ლავროვმა აპრილში აფხაზეთს 9 მილიარდი რუბლი ჩაუტანა; მანამდე კი, მარტის თვეში, კიდევ ერთი სეპარატისტული რეგიონის – სამხრეთ ოსეთის „შეიარაღებული ძალები“ ოფიციალურად შევიდნენ რუსეთის ფედერაციის არმიის შემადგენლობაში; მაისში ვლადიმირ პუტინი, დონალდ ტრამპთან და ანგელა მერკელთან გამართული საუბრის შუალედში, სამხრეთ ოსეთის „პრეზიდენტს“ შეხვდა, „ფართო ინტეგრაციასთან“ დაკავშირებული საკითხების განსახილველად; მოლდოვაში უკიდურესად პრორუსულად განწყობილი პრეზიდენტი იქნა არჩეული; სომხეთში მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გამო ხელისუფლება მოსკოვზე დამოკიდებული გახდა, ამჟამად მიმდინარეობს რუსეთის სამხედრო ბაზის გაფართოება, გაფორმდა შეთანხმება სამხედრო თანამშრომლობის გაღრმავების შესახებ.

თუმცა არის საპირისპირო მოვლენებიც: ამას წინათ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები მოწმობს, რომ ქართველთა 63% რუსეთს მთავარ საფრთხედ მიიჩნევს, მოლდოვის პრეზიდენტმა იგორ დოდონმა კი საკუთარ ტყავზე გამოსცადა უფროს-უმცროსობის პრინციპი, როცა კრემლში მიღებისას ვლადიმირ პუტინმა ოთხ საათს ალოდინა. ეს ყველაფერი ცხადყოფს, რომ კრემლი არ ჩქარობს: რაც უფრო მეტხანს გაგრძელდება კონფლიქტები, მით უფრო კარგია რუსეთისთვის – მოსკოვი ხუნდებს უფრო კარგად მოუჭერს.

ახლახან გამოქვეყნებული ეუთოს მოხსენება გვაფრთხილებს, რომ ევროპაში გაყინულმა კონფლიქტებმა შეიძლება ახალი ძალით იფეთქონ. როგორც „აფტონპოსტენს“ გერმანელმა დოქტორმა ჰანს-იოაჰიმ შმიდტმა განუცხადა, იგი ვერ ხედავს ვერავითარ გადაწყვეტილებას ამ კონფლიქტების მოსაგვარებლად.

– რუსეთი აძლიერებს თავის გავლენას, თანაც მნიშვნელოვნად. მაგრამ თუ ევროპის უსაფრთხოების უზრუნველყოფა გვსურს, ეს კონფლიქტები უნდა მოვაგვაროთ

დოქტორ შმიდტის თქმით, საერთაშორისო იზოლაციამ სეპარატისტები იძულებული გახადა მხოლოდ რუსეთს მიჰკედლებოდნენ.

– ისინი ჩვენ სრულ იზოლაციაში არ უნდა მოგვეცია, – აცხადებს გერმანელი დოქტორი.

ეუთოს ექსპერტები მიუთითებენ კონფლიქტების რამდენიმე მიზეზზე, რომლებიც ევროპამ 25 წლის განმავლობაში ვერ მოაგვარა: ყველა კონფლიქტი სსრ კავშირის დაშლის შედეგადაა გამოწვეული; კონფლიქტები ნაციონალისტებმა გააჩაღეს, მაგრამ მათი მოგვარების „გასაღები“ მოსკოვს აქვს; კონფლიქტის ყველა მხარე ფიქრობს, რომ მათ საბოლოო გამარჯვება შეუძლიათ, თანაც ყოველგვარი კომპრომისის გარეშე, თუმცა იმავდროულად დარწმუნებულნი არიან, რომ ეს უახლოეს ხანში ვერ მოხერხდება; თვითგამოცხადებულ რესპუბლიკებს ჯგუფები მართავენ, რომლებიც საკუთარ ჯიბეს ისქელებენ კონფლიქტის ხარჯზე, აგროვებენ როგორც პოლიტიკურ, ასევე ფინანსურ კაპიტალს; კონფლიქტები ისტორიულად ერთმანეთისაგან განსხვავდებიან და ამიტომ სხვადასხვანაირი გადაწყვეტილების მიღებას ითხოვენ.

„გაყინული“ კონფლიქტები ნორვეგიასთან უფრო ახლოა, ვიდრე ეს ზოგიერთ ჩვენს თანამემამულეს მიაჩნია.

– საქართველოში ნორვეგია ნატოს პრესტიჟული პროექტის რეალიზებას ხელმძღვანელობს, რომელიც, ნორვეგიელი სამხედროების შეფასებით, ყველაზე მნიშვნელოვანია ჩვენი ურთიერთობების ისტორიაში, – წერს სტატიის ავტორი.

ნორვეგიელი ოფიცრები, რუსეთის ფედერაციის პროტესტის მიუხედავად, თბილისის ახლოს ქართველ ჯარისკაცებს წვრთნიან. ამას წინათ საქართველოში პირველად იმყოფებოდა ნორვეგიის თავდაცვის მინისტრი ინე-ერიქსონ სერეიდე, რომელმაც ხელი მოაწერა შეთანხმებას თავდაცვის სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის შესახებ. ნორვეგიის პრესაში ეს მოვლენა მინიმალურად გაშუქდა.

რუსეთის პოლიტიკას თუ დავუკვირდებით, შევამჩნევთ, რომ მოსკოვს ეშინია, ვაითუ თავისი ოცნება ბოლომდე ვერ განახორციელოს. შარშან, წლის ბოლოს, აფხაზეთში მძლავრი საპროტესტო აქციები ჩატარდა იქ გამეფებული მრავალწლიანი კორუფციისა და ცხოვრების უკიდურესად დაბალი დონის გამო. ეკონომიკური კრიზისის გამო ვლადიმირ პუტინს სულ უფრო მეტად უჭირს აფხაზეთისთვის მილიარდების გამოყოფა, მაშინ როცა საქართველოში აშშ, ევროკავშირი და ნატოს ქვეყნები, მათ შორის ნორვეგიაც, უფრო მეტ ინვესტიციას აბანდებენ.

სიტუაცია საქართველოში ძალიან პოზიტიური მიმართულებით ვითარდება, რაც მკვეთრად კონტრასტულია სეპარატისტულ რესპუბლიკებში შექმნილ ვითარებასთან.

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, ბოლო ოთხ წელიწადში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა 500 ათასმა მოქალაქემ გაიუმჯობესა. თბილისმა აფხაზებს და ოსებს ქართული პასპორტების აღება შესთავაზა, ევროპაში უვიზოდ გადაადგილების მიზნით.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს ხუნდებს უჭერს, აქაური ადამიანების ყოველდღიური ცხოვრება ვლადიმირ პუტინისთვის ცუდი რეკლამაა. აფხაზები, ოსები, სომხები (მთიან ყარაბაღში) და დნესტრისპირეთის მოსახლეობა ძალიან დიდ ხარკს იხდიან ადგილობრივი რეჟიმების კორუმპირებულობის გამო. ისინი თითქმის მაფიოზები არიან. აფხაზეთში „აფტონპოსტენის“ კორესპონდენტს გაგრიდან სოხუმამდე (100 კმ.) მგზავრობისას პოლიციის ექვსი პოსტის „გადალახვა“ მოუხდა.

სოხუმის ნახევრად უდაბურ და მინგრეულ ნავსადგურის ერთ-ერთ შენობაში რუსებმა დიდი მონიტორი დადგეს, რომლის მეშვეობით მოსახლეობა რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ტელეკომპანია „როსია-24“-ს უყურებენ და პროპაგანდისტულ ინფორმაციას იღებენ.

– აფხაზეთი ლამაზია, მაგრამ ცხოვრებაა მძიმე, – ამბობს ოლია, – არავინ იცის, ხვალ რა ელოდება. ასეთი ცხოვრების გაგრძელება აღარ შეგვიძლია.

bp

ბი პი ექსპლორეიშნ (კასპიის ზღვა) საქართველო გეგმავს გამოაცხადოს ტენდერი საგზაო ტრანსპორტის მართვის მომსახურების გაწევაზე:

- პროფესიული მძღოლების მოწოდება, ტრეინინგებისა და კომპეტენციის შეფასების უზრუნველყოფა
- ავტოტრანსპორტით მომსახურება და/ან ქირავნობა ქალაქის მასშტაბით, დიდ მანძილებზე და უგზოობის პირობებში სამოძრაოდ
- ავტოტრასპორტის მოვლა/შეკეთების დაგეგმვა, კოორდინაცია, შესრულება და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება მწარმოებელთა რეკომენდაციების შესაბამისად
- ტრანსპორტის ქოლ ცენტრის/მგზავრობის დაგეგმარების და კოორდინაციის, ტრანსპორტის დროული მიწოდების მენეჯმენტი
- სატრასპორტო საშუალებების შემდეგი პირობების უზრუნველყოფა: დაზღვევა, რეგისტრაცია, სახელმწიფო ტექნიკური დათვალიერება, საწვავის საბარათე სისტემის უზრუნველყოფა, ინვენტარი, მანქანის რეცხვა, პარკირება, მოძრაობის ჯარიმების გადახდა, და ა.შ.
- ბი პი-ს საკუთრებაში მყოფი, თუ დაქირავებული სატრანსპორტო საშუალებების აღჭურვა მანქანის შიდა მონიტორინგის სისტემით (IVMS)

დაინტერესებულ კომპანიებს გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი საკონტაქტო ინფორმაცია: კომპანიის სახელი, მისამართი, ტელეფონი, ელ. ფოსტა შემდეგ ელ ფოსტის მისამართზე:arveladm@bp.com ან კომპანიის ოფისის მისამართზე; თბილისი, სულხან ცინცაძის 24, კონტრაქტების განყოფილების უფროსის მაკა არველაძის სახელზე. მოწოდების ბოლო ვადაა 2017 წლის 5 ივნისი.

„რუსეთმა მუქარის პოლიტიკა აირჩია“

რას ნიშნავს გენერალ კულახმეტოვის ელჩად დანიშვნა

– რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის ბრძანებულებით, გენერალ-მაიორი მარატ კულახმეტოვი სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში რუსეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად დაინიშნა. ამ თანამდებობაზე მყოფი ელბრუს კარგიევი პენსიაზე გავიდა. ცხინვალში მარატ კულახმეტოვის ელჩად დანიშვნას დიდი სიხარულით შეხვდნენ, რაც არ შეიძლება ითქვას თბილისზე, – აღნიშნულია რუსულ გამოცემა „ნეზავისიმაია გაზეტას“ მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში.

– ერთი შეხედვით, ამ ბანალურ საკადრო როტაციაში არაფერი გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ არა ერთი გარემოება: მარატ კულახმეტოვი 2008 წელს სამხრეთ ოსეთში დისლოცირებულ რუს მშვიდობისმყოფელთა სამხედრო კონტინგენტს მეთაურობდა და რუსეთ-საქართველოს ომის დაწყებასაც ამ სტატუსით შეხვდა. შემდეგ კი სამშვიდობო კონტინგენტი რუსეთის არმიამ შეცვალა, – წერს ავტორი და იქვე მკითხველს „ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მშვიდობის დაცვის შერეული ძალებისა“ და მისი სარდლობის ისტორიას აცნობს.

თავდაპირველად სამშვიდობო ძალების სარდალი გენერალი სვიატოსლავ ნაბზდოროვი იყო, რომელსაც ქართულ მხარესთან დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა, ამიტომაც მის შეცვლას მარატ კულახმეტოვით თბილისი პოზიტიურად შეხვდა, თუმცა შემდგომ სიტუაცია მაინც რთულდებოდა. გენერალი მარატ კულახმეტოვი ობიექტური იყო: იგი სიტუაციის გამწვავებაში მხოლოდ ქართველებს კი არა, ოსებსაც ადანაშაულებდა, მაგრამ თბილისმა მისი მოქმედება მაინც ნეგატიურად შეაფასა – სამშვიდობო ძალები ოსების მხარეზე დადგნენო... მოკლედ, ასე იყო თუ ისე, ომის შემდეგ გენერალმა მარატ კულახმეტოვმა მუშაობა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში დაიწყო მრჩევლის სტატუსით.

– მარატ კულახმეტოვს სამხრეთ ოსეთში კარგად იცნობენ. მიხეილ სააკაშვილის მიერ წამოწყებული აგრესიის დროს იგი ცდილობდა, რომ სისხლისღვრა მინიმუმამდე დაეყვანა. მარატ კულახმეტოვმა კარგად იცის რესპუბლიკის რეალური სიტუაცია და მჯერა, ყველაფერს გააკეთებს რუსეთ-სამხრეთ ოსეთის ორმხრივი ურთიერთობის განმტკიცებისათვის, – ამბობს „ნეზავისიმაია გაზეტასთან“ საუბარში სამხრეთ ოსეთის ყოფილი ელჩი რუსეთში დიმიტრი მედოევი.

რაც შეეხება საქართველოს რეაგირებას:

– ჩვენთვის ყოველგვარი დანიშვნა მიუღებელია, მით უმეტეს, რომ ელჩად ინიშნება ისეთი ადამიანი, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა 2008 წლის აგვისტოს მოვლენებში. ეს არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის კიდევ ერთი დადასტურება, – განაცხადა ქეთევან ციხელაშვილმა, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სახელმწიფო მინისტრმა.

უფრო ემოციური რეაგირება მოახდინა გიორგი ხაინდრავამ, რომელიც 2004-2006 წლებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი იყო კონფლიქტების მოგვარების საკითხში და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების გამო მარატ კულახმეტოვს ხშირად ეკონტაქტებოდა.

– ეს აბსოლუტური აბსურდია! რა ელჩი, რის ელჩი... რომელ რუსეთის ელჩზეა საუბარი? რუსეთს სურს საქართველოზე გავლენის ბერკეტი ჰქონდეს და ეს გასაგებიცაა...

რაც შეეხება გენერალ კულახმეტოვს... აბა, რა გითხრათ... რუსი გენერალი, ოკუპანტი ქვეყნის წარმომადგენელი ელჩად დაინიშნა. იგი ის კაცია, რომელიც საომარი მოქმედებების დროს რუს მშვიდობისმყოფელთა კონტინგენტს მეთაურობდა, რაზეა საუბარი? მის ადამიანურ თვისებებზე ვერაფერს გეტყვით. თვითონ ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, თუ საით მიდის რუსეთი. ეს მუქარის პოლიტიკაა. ყველა ხვდება სიტუაციის აბსურდულობას, რადგან ეს პოლიტიკური კონიუნქტურაა, – განუცხადა გიორგი ხაინდრავამ „ნეზავისიმაია გაზეტას“.

ნიუსპრესი

როგორ შეარჩევენ ევროსასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებს

სახალხო დამცველ უჩა ნანუაშვილის შეფასებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლეობის მსურველ კანდიდატთა გასაუბრება საკმაოდ კარგად ჩატარდა და პირობები მაქსიმალურად იყო შექმნილი იმისთვის, რომ საუკეთესო კანდიდატი გამოვლენილიყო.

ამასთან, ნანუაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას ხაზგასმით აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია, თუ როგორი იქნება კანდიდატებისთვის შეფასებისა და ქულების დაწერის პროცესი.

– მთავარი საკითხია არა უშუალოდ გასაუბრების პროცესი, არამედ ის, თუ რა მოხდება შემდეგ. როგორ მოხდება კანდიდატების შეფასება. მოგეხსენებათ, რამდენიმე თვის წინანდელი გამოცდილება, როცა მოხდა ქულებით მანიპულირება. გარკვეულ კანდიდატებს, რომლებიც მეტ ქულას იმსახურებდნენ, ნაკლები ქულა დაუწერეს. ჩვენ დავალოდებით შეფასების პროცესს, რომელიც არის ყველაზე მნიშვნელოვანი. მანამდე პროცესი ნორმალურად მიმდინარეობს, – განუცხადა ჟურნალისტებს ნანუაშვილმა, რომელიც საქართველოდან ასარჩევი მოსამართლეობის კანდიდატურების მთავრობისათვის წარსადგენად შექმნილი სამთავრობო კომისიის წევრია.

კომისიის კიდევ ერთი წარმომადგენლის, ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელ ზაზა ხატიაშვილის თქმით, გასაუბრებაში მონაწილეობდნენ კანდიდატები, რომელიც პირადად მას ძალიან მოეწონა და არიან ისეთებიც, რომელიც არ მოეწონა.

– თუ მთავრობა პოლიტიკურ გადაწყვეტილებას მიიღებს და ხმას ისეთ კანდიდატს მისცემს, ვინც ამას არ იმსახურებს, ჩვენ ამას დავინახავთ. ხოლო თუკი მისცემენ ხმას ისეთ კანდიდატს, რომელზეც ვთანხმდებით, რომ კარგი კანდიდატია, პროტესტი არ იქნება. მოსმენისას ისმება კრიტიკული კითხვები თავად იუსტიციის მინისტრის მხრიდან. აქედან გამომდინარე ვნახოთ, როგორი გადაწყვეტილებები იქნება მიღებული, – აღნიშნა ხატიაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას.

გუშინ, 28 მაისს, იუსტიციის სამინისტროში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების მოსმენა გაიმართა.

მოსმენის დასრულებისთანავე სპეციალურმა კომისიამ კანდიდატებს შეაფასა და მათ ქულა მიანიჭა.

მოსამართლეთა კანდიდატურების შერჩევის მიზნით შექმნილმა კომისიამ ორი დღის განმავლობაში 23 კანდიდატს მოუსმინა. კანდიდატთა შორის იყო გიორგი პაპუაშვილი, რომელიც საკუთარი ნებით კონკურსს გამოეთიშა.

ინტერპრესნიუსი

შსს: „გიორგი მღებრიშვილი თანამდებობას არ ტოვებს“

შინაგან საქმეთა სამინისტრო კატეგორიულად უარყოფს მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას გიორ-

გი მღებრიშვილის მიერ შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობის შესაძლო დატოვებასთან დაკავშირებით.

– მიგვაჩნია, რომ ეს არის მიზანმიმართული კამპანიის ნაწილი, რომელიც ცალკეული პირების ინიცირებით პერიოდულად იჩენს თავს და მიმართულია უწყებისა და მისი პირველი პირის დისკრედიტაციისკენ, თანამშრომლების დემოტივაციისა და ზოგადად ქვეყნის ერთ-ერთი ფუნდამენტური ინსტიტუტის შესუსტებისკენ, – განუცხადეს „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში.

ინტერპრესნიუსი

შსს-მ ლანჩხუთში სუბოქსინი ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის ლანჩხუთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1976 წელს დაბადებული ნ.ჭ., დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და გადაზიდვის ბრალდებით ლანჩხუთში დაიკავეს.

შს სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას ნივთმტკიცებად ნარკოტიკული საშუალება „სუბოქსინის“ 4 აბი ამოიღეს, რომელიც, ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ბუპრენორფინს შეიცავს.

ნარკოლოგიური შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ნ.ჭ. დაკავებისას ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და გადაზიდვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

ინტერპრესნიუსი

ნინო გვენეტაძე: „მურუსიძის მოსამართლედ უვადოდ დანიშვნის საკითხი ჯერ განხილვას არ ექვემდებარება“

უზენაესი სასამართლოსა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძის განცხადებით, ლევან მურუსიძის მოსამართლედ უვადოდ დანიშვნის საკითხი ჯერ განხილვას არ ექვემდებარება. ამის შესახებ გვენეტაძემ ჟურნალისტებს დასმული კითხვის – დაინიშნა თუ არა ლევან მურუსიძე სასამართლოში უვადოდ – საპასუხოდ განუცხადა.

– როგორც იცით, უზენაესი სასამართლოს ერთი ყოფილი მოსამართლის საკითხი იუსტიციის უმაღლეს საბჭოზე გადადებულია. საბჭოზე ასეთი საკითხი ჯერ განხილვას არ ექვემდებარება, – განაცხადა ნინო გვენეტაძემ.

ინტერპრესნიუსი

2017, 29 მაისი, №125

ევროკავშირსა და დონალ ტრამპს შორის უთანხმოებაა

ევროკავშირი თავდაცვისუნარიანობის საკუთარ სისტემას ქმნის

მარიამ მჭედლიშვილი

ნატოს სამიტზე გაკეთებული ერთობლივი განცხადებების მიუხედავად, აშშ-ის პრეზიდენტსა და ევროკავშირის ლიდერებს შორის თანხმობა ყველა საკითხზე მიღწეული არ არის.

გაზეთ „დი ცაიტის“ თქმით, ევროკავშირსა და აშშ-ს ერთმანეთისგან რუსეთის ფაქტორი ყოფს. ევროპული საბჭოს თავმჯდომარე დონალ ტუსკი დონალდ ტრამპთან შეხვედრის შემდეგ აცხადებს, რომ ევროკავშირისა და აშშ-ის პოზიციები რუსეთთან მიმართებით ერთმანეთს არ ემთხვევა.

გამოცემის შეფასებით, მოსკოვთან ურთიერთობები ტრამპისთვის საჩოთირო თემაა, ვინაიდან წინასაარჩევნოდ იგი ამომრჩევლებს არწმუნებდა, რომ ვლადიმერ პუტინთან საერთო ენის გამონახვას მოახერხებდა.

დონალდ ტუსკი დიდი შვიდეულის სახელით აცხადებს, რომ რუსეთს სანქციები გაუმკაცრდება, თუ ის მინსკის შეთანხმებებს არ შეასრულებს. სანქციების შერბილებაზე საუბარი უსაფუძვლოა, ვინაიდან რუსეთს ერთი წლის განმავლობაში საამისოდ არაფერი გაუკეთებია.

რუსეთისთვის ახალი შეზღუდვები ჩაფიქრებული აქვთ ამერიკელ კანონმდებლებსაც.

ცოტა ხნის წინ ასადის რეჟიმის მხარდამჭერების – რუსეთისა და ირანის წინააღმდეგ ახალი სანქციების შემოღება მოიწონა კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ. სანქციები რომ ძალაში შევიდეს, ამას მხარი უნდა დაუჭირონ სენატმა და პრეზიდენტმა.

ამერიკელმა სენატის საგარეო კომიტეტმა დაამტკიცა სანქციები ირანის წინააღმდეგ, რომელიც მხარს უჭერს ტერორიზმს. სენატორების სურვილია, სანქციები რუსეთსაც შეეხოს. რუსეთის სანქციების გადავადება კანონმდებლებს სახელმწიფო მდივანმა რექს ტილერსონმა სთხოვა. სენატორები აცხადებენ, რომ რუსეთი უარესობისკენ მიდის, რაზეც საჭიროა რეაგირება.

ექსპერტების აღიარებით, აშშ-სა და რუსეთს შორის ურთიერთობები უკიდურესად დაძაბულია.

ამასთან, აშშ-ში გრძელდება ტრამპის რუსეთთან შესაძლო კავშირების ძიება საპრეზიდენტო არჩევნებისას.

რუსეთის საკითხში ერთსულოვნება არ არსებობს ტრამპის ადმინისტრაციასა და ევროკავშირს შორის. რუსეთის გარდა, ისინი ვერ თანხმდებიან ვაჭრობისა და კლიმატის ცვლილებებთან ბრძოლის საკითხებზე.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს ტრამპმა შეიცვალა თავისი პოზიცია, ნატოს მიმართ დადებითად განეწყო და სამიტშიც მონაწილეობდა, ევროკავშირში ისევ საუბრობენ საკუთარი თავდაცვის სისტემის შექმნაზე.

ამ თემის აქტუალიზაცია გამოიწვია აშშ-ის პრეზიდენტის განცხადებებმა. ტრამპი დაიმუქრა, რომ აშშ ალიანსს დაფინანსებას შეუწყვეტს.

მიმომხილველი ოლივერ გრიმი აცხადებს, რომ ევროკავშირმა აუცილებლად უნდა გააძლიეროს თავისი თავდაცვისუნარიანობა.

მისი თქმით, საამისო საშუალებები არსებობს.

ბერლინსა და პარიზში საჭესთან დგანან ის პოლიტიკოსები, რომლებიც აცნობიერებენ მდგომარეობის სერიოზულობას. თეთრ სახლს ევროპის ერთიანობა და მშვიდობა ევროპაში არ ადარდებს. კრემლი ორივეს დარღვევას ცდილობს. ცივი ომის დასრულების შემდეგ დადგა დრო, როცა ევროპა ვალდებულია, დაიცვას საკუთარი უსაფრთხოება.

მიმომხილველის ინფორმაციით, გასულ კვირას გერმანიისა და საფრანგეთის თავდაცვის მინისტრებმა მოილაპარაკეს ფონდის შექმნაზე. ფონდი დააფინანსებს შეიარაღების სისტემების შემუშავებას თავდაცვის ევროპული სააგენტოს შიგნით. თანამედროვე სამხედრო ტექნოლოგიებით დაკავდება ევროკავშირის ბიუჯეტიც.

ევროპამ უკვე დაიწყო ზრუნვა თავის თავდაცვაზე, თუმცა ევროპული არმიის შექმნამდე ჯერ დიდი დროა.

ზბიგნევ ბჟეზინსკი გარდაიცვალა

90 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი ამერიკელი პოლიტიკოსი და ექსპერტი ზბიგნევ ბჟეზინსკი.

ბჟეზინსკი ვარშავაში შლიახტიჩის ოჯახში დაიბადა. 1938 წელს მშობლებთან ერთად კანადაში გაემგზავრა, სადაც მისი მამა პოლონეთის გენერალურ კონსულად მუშაობდა.

ბჟეზინსკი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აშშ-ში დამკვიდრდა. იყო ხელოვნების ბაკალავრი და ფილოსოფიის დოქტორი. ასწავლიდა ჰარვარდის უნივერსიტეტში. მან ამერიკელი პოლიტოლოგების მთელი პლეადა აღზარდა.

ბზეჟინსკი მკვეთრად გამოხატულ ანტიიმპერიულ პოზიციაზე იდგა. ის აქტიურად უჭერდა მხარს დამოუკიდებელ საქართველოსა და დამოუკიდებელ უკრაინას. ამავე დროს, ხაზს უსვამდა იმასაც, რომ ამ ქვეყნების სუვერენიტეტის საფუძველი დემოკრატიისა და თავისუფლების იდეალების პატივისცემაა.

– საქართველო და უკრაინა ევროპული ოჯახის წევრები არიან. ეს ხალხები დასავლეთს რუსული ხიშტების გამო მოსწყდნენ. მათი ევროპაში დაბრუნებაც სრულიად კანონზომიერია. თუმცა საამისოდ რთული და ხანგრძლივი გზის გავლა იქნება საჭირო, – ამბობდა ბჟეზინსკი.

ტრამპი: „დაუშვებელია, ირანს ბირთვული იარაღი ჰქონდეს!“

სიცილიაზე ყოფნისას პრეზიდენტი ტრამპი იქ განთავსებულ ამერიკულ ბაზას ეწვია. პრეზიდენტმა ამერიკელ ჯარისკაცებს ერთგული სამსახურისთვის მადლობა გადაუხადა.

– მთელი ამერიკა თქვენით აღფრთოვანებულია! მთელი ევროპა იმედით შეგყურებთ, რადგანაც ამერიკელ ჯარისკაცებში თავის დამცველებს ხედავს, – თქვა ტრამპმა.

პრეზიდენტმა საერთაშორისო მდგომარეობის მოკლე მიმოხილვა გააკეთა. მან აღნიშნა, რომ აშშ ახორციელებს ღონისძიებებს ირანის ბირთვული პროგრამის ჩასაშლელად.

– ამაში ჩვენ სხვა მუსლიმანური ქვეყნებიც მხარს გვიჭერენ. ყველამ იცის, რომ ირანი ტერორიზმის სპონსორია. შესაბამისად, დაუშვებელია, რომ მას ბირთვული იარაღი ჰქონდეს! – თქვა ტრამპმა.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

საფრანგეთში დე გოლის საფლავი შეურაცხყვეს

საფრანგეთში დე გოლის საფლავი შეურაცხყვეს.

ვიდეოთვალმა დააფიქსირა უცნობი მამაკაცი, რომელმაც წააქცია ჯვარი, შემდეგ კი საფლავზე დააფურთხა.

ფრანგი ძალოვნების აზრით, დე გოლის საფლავის შეურაცხოფა პოლიტიკური მიზეზებით არ მომხდარა. უცნობი მამაკაცი, რომელიც

ვიდეოთვალმა დააფიქსირა, უფრო ფსიქიკურად ავადმყოფის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

პრეზიდენტმა მაკრონმა გასცა განკარგულება, რომ საფლავი რაც შეიძლება სწრაფად აღადგინონ.

– დე გოლის ხსოვნა ყველა ფრანგისთვის ძვირფასია, – განაცხადა მაკრონმა.

კალინინგრადში რუსი ფაშისტების ლიდერი დააკავეს

ფაშისტების ლიდერი დააკავეს

კალინინგრადში რუსი ფაშისტების ერთ-ერთი ლიდერი ალექსანდრე ორშულევიჩი დააკავეს. ამის თაობაზე რადიო „თავისუფლებას“ ორშულევიჩის მეუღლემ ვანდამ განუცხადა.

– ფსბ-ს თანამშრომლები ჩვენს სახლში შემოიჭრნენ, ჩემს ქმარს თავზე პოლიეთილენის პაკეტი ჩამოაცვეს და წაიყვანეს, – ამბობს ვანდა.

ორშულევიჩი რუსული წინააღმდეგობის მოძრაობის „ბალტიური ავანგარდის“ ლიდერია. ეს მოძრაობა პუტინს ამერიკის აგენტად აცხადებს და მის ხელისუფლებიდან ჩამოშორებას მოითხოვს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

განცხადებები

გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით.აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი..

● ალკოჰოლიზმი, „პახმელია“, „ზაპოი“, ალკოჰოლიზმისაგან გამოწვეული ნევროზი, უძილობა, აგრესიულობა, ღვიძლის პრობლემების მოწესრიგება – მცენარეული, შედეგიანი, მეტეხისა და ბეთლემის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში.სიგარეტის მიტოვება მცენარეული, უსაფრთხო გარანტირებული პრეპარატით. უკუჩვენება გამორიცხულია. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემები – გასტრიტი, კუჭის წვენის დაბალი და მაღალი მჟავიანობა, კუჭშეკრულობა, კუჭაშლილობა და ა.შ. ნერვული სისტემის, სახსრების, პოტენციის და კანის სხვადასხვა პრობლემების მოწესრიგება. ბეთლემისა და მეტეხის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები უსაფრთხოა. ტელ:558-34-36-24.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

შერმადინმა რეალს მოუგო

ესპანეთის ჩემპიონატში გიორგი შერმადინის ბრწყინვალე თამაში გრძელდება და ქართველი ცენტრი ამტკიცებს, რომ ტყუილად არ დაუსახელებიათ იქაური ჩემპიონატის საუკეთესო სამეულში.

წინა მატჩისგან განსხვავებით, ამჯერად ანდორელთა ქართველ ცენტრს გარჯა დაუფასდა და მისმა გუნდმა გამარჯვება მოიპოვა. თანაც ვისთან – რეგულარული ჩემპიონატის მომგებ მადრიდის რეალთან, რომელთანაც რამდენიმე დღის წინ მეოთხედფინალური სერია უშანსოდ წააგო, თუმცა საპასუხო შეხვედრაში შერმადინის წინამძღოლობით გამარჯვებას მიაღწია და სერიაში ანგარიში გაათანაბრა.

შერმადინი რეალთან განსაკუთრებით კარგად თამაშობს. მიმდინარე სეზონის ხუთივე მატჩში ქართველმა ცენტრმა საუკეთესო შედეგი დააფიქსირა, თუმცა ანდორელებმა 3 შეხვედრა ოვერტაიმში წააგეს, ბოლო დღეებში კი პლეი ოფის მატჩებიდან 1 წააგეს და ერთიც მოიგეს და შერმადინი კვლავ საუკეთესო გახლდათ.

სამწუხაროდ, გასულ მატჩში მონაწილეობა არ მიუღია ანდორელთა მეორე ქართველ ლეგიონერ ბექა ბურჯანაძეს, რომელსაც ფეხის ტრავმის მკურნალობა გაუგრძელდა. შერმადინი კი ტრადიციულად სასტარტო ხუთეულში გახლდათ და 27 წუთში 19 ქულა, 11 მოხსნა (3 შეტევაში) და 2 დაფარება მიითვალა. გიომ 12-დან 8 ორქულიანი დ 4-დან 3 საჯარიმო ჩააგდო და თამაშის მიწურულს 1 სამქულიანიც ტყორცნა, თუმცა, ააცილა.

შერმადინი ერთადერთი იყო, ვინც ორმაგი დუბლის შესრულება მოახერხა და მისი სარგებლიანობის კოეფიციენტი 25-ს გაუტოლდა, რაც ორივე გუნდის შემადგენლობაში საუკეთესო შედეგი გახლდათ.

მატჩის დაწყებამდე გიორგის ერთბაშად 2 პრიზი გადასცეს. თავდაპირველად, მას ესპანეთის ჩემპიონატის მაისის საუკეთესო მოთამაშისთვის განკუთვნილი ჯილდო უბოძეს, შემდეგ კი იმისთვისაც დააფასეს, რომ სეზონის შედეგებით ლიგის სიმბოლურ ხუთეულში მოხვდა.

მასპინძელთაგან შედმადინის შემცვლელი სერბი ოლივერ სტევიჩიც გამოირჩა, რომელმაც თანაგუნდელ ენდრიუ ალბისის დარად 15 ქულა მიითვალა, ბერძენმა ტანასის ადეტოკუმბომ კი, რომელსაც ტრიბუნებიდან კვლავაც ქომაგობდა სახელოვანი ძმა იანისი, 12 ქულა მოაგროვა.

რეალისა და ანდორის დაპირისპირებაში ყველაფერს მე-3 მატჩი გაარკვევს, რომელიც მადრიდშია გაიმართება. გეტყვით იმასაც, რომ გადამწყვეტი დაპირისპირება ელის თორნიკე შენგელიას ბასკონიასაც, რომლის მეტოქეც გრან კანარიაა.

კოლხეთი და დილა ერთმანეთს უგოლოდ დაშორდნენ

კოლხეთი-დილა 0:0

სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე

კოლხეთი: სიკაჩი, გ.კილასონია, კერძევაძე, დაფე, ოტიენო, ჯანელიძე (ლ.მახარაძე 78), კოვტალიუკი, კორობკა (შალიკაშვილი 56), ენდელაძე (კაკულია 46), ბოლქვაძე, ვ.კილასონია

დილა: მუჯრიშვილი, ეტოუ, ფოფხაძე, რაზმაძე, წიქარიძე, ტარავალიე (მათიაშვილი 83), აბუბაკარი, ქარქუზაშვილი, კვახაძე, ნუბიო (რიბეირო 58), დერეტი (ძარია 30)

არცთუ საინტერესო და სანახაობრივი გამოდგა მატჩი სამტრედიაში, სადაც ნომინალურ მასპინძლებად ფოთელები ითვლებოდნენ.

სახიფათო მომენტები ორივე გუნდის კართან თითზე ჩამოსათვლელი იყო. უფრო მეტად გორელები აქტიურობდნენ და რომ არა კოლხეთის მოლდოველი მეკარე სიკაჩი, შესაძლოა, შინ 3 ქულით გაბრუნებულიყვნენ. სიკაჩი კარგად გაისარჯა ნუბიოს, წიქარიძისა და რიბეიროს დარტყმების შემდეგ...

ფოთელებზე კი რა ვთქვათ? მხოლოდ ის, რომ აქტიურობდნენ საჯარიმოს მოსადგომებამდე, შემდეგ კი რაიმე გამწვავება არ მოჰყოლია...

გორელებმა მეშვიდე ფრე ითამაშე და სატურნირო ცხრილში მე-7 ადგილზე არიან, რაც არ იძლევა დამშვიდების საშუალებას, რადგან მათ უკან ბათუმის დინამო და კოლხეთია. კოლხებმა ბოლო ტურებში ისევ მოუმატეს და 4 მატჩში 7 ქულა აიღეს.

სატურნირო ცხრილი:

1.დინამო (თბ)	14	10	1	3	27-9	31
2.ტორპედო	14	8	4	2	20-9	28
3.სამტრედია	14	8	2	4	19-15	26
4.ლოკომოტივი	14	6	3	5	27-17	21
5.ჩიხურა	14	6	2	6	18-19	20
6.საბურთალო	14	6	1	7	18-17	19
7.დილა	15	4	7	4	15-15	19
8.დინამო (ბთ)	14	5	1	8	14-18	16
9.კოლხეთი	15	4	3	8	15-25	15
10.შუქურა	14	0	4	10	8-37	4

ბომბარდირები: ირაკლი სიხარულიძე (ლოკომოტივი) – 11 ბურთი; ბაჩანა არაბული (დინამო თბ) – 9, მიკოლა კოვტალიუკი (კოლხეთი), მამია გავაშელიშვილი – 8-8; დიმიტრი ტატანაშვილი (ჩიხურა) – 7;

დინამოში ნიგერიელი ისინჯება. ტორპედომ 2 ფეხბურთელი დაიმატა

საქართველოს სატრანსფერო ფანჯარა ჯერ არ გახსნილა, მაგრამ გუნდები უკვე იმატებენ თავიანთთვის სასურველ ფეხბურთელებს, რომლებიც თავისუფალი აგენტის სტატუსით სარგებლობენ.

თბილისის დინამოში სინჯებს გადის და ვარჯიშობს 24 წლის ნიგერიელი მარცხენა მცველი მოჰამედ ალიუ, რომელიც ბოლოს მოლდოვურ საქსანში ასპარეზობდა, სადაც 2 სეზონი დაყო.

ალიუ მანამდე ხორვატიულ პომორაჩსა და უკრაინულ ტავრიაში გამოდიოდა. გავლილი აქვს ვილიარეალის აკადემიაც.

მოჰამედს 2009 წელს მსოფლიო თასზე 17 წლამდე ნიგერიასთან ერთად ვერცხლის მედლები აქვს მოპოვებული. ალიუს დინამოს მწვრთნელები დააკვირდებიან და გადაწყვეტილებას მოგვიანებით მიიღებენ.

24 წლის შუახაზელი, რუსეთის მოქალაქეობის მქონე დავით ხურციძე 3-წლიანი პაუზის შემდეგ ისევ ქუთაისის ტორპედოში ითამაშებს.

დავით ხურციძე მოსკოვის ცსკას აღზრდილია. გამოდიოდა გუნდის დუბლშემადგენლობაში. ცსკადან განათხოვრებით თამაშობდა რუსული პენზას ზენიტში, ქუთაისის ტორპედოში, სომხურ ულისესში, რუსულ არმავირში, საიდანაც პრემიერლიგის ამკარში გადავიდა და 2 სეზონი დაყო ამ კლუბში.

ქუთაისის ტორპედოში დავით ხურციძემ 5 მატჩი ჩაატარა და 2 ბურთი გაიტანა.

შემადგენლობის გაძლიერების, ეროვნულ ლიგაში და დამდეგ ევროპა ლიგის შესარჩევ ეტაპზე წარმატებული გამოსვლის მიზნით ტორპედომ კიდევ ერთი ფეხბურთელი დაიმატა.

ქუთაისური კლუბის ღირსებას 21 წლის შემტევი მათე კვირკვია დაიცავს. მათე ბოლო პერიოდის ერთ-ერთი უნიჭიერესი ახალგაზრდა ქართველი ფეხბურთელია, ნათამაშევი აქვს ქვეყნის ასაკობრივ ნაკრებ გუნდებში, ეროვნულ ჩემპიონატებში ვიტ ჯორჯიას, ზესტაფონისა და დილის რიგებში ასპარეზობდა.

ტორპედოსთან კვირკვიას თანამშრომლობა ქუთაისური კლუბის მთავარი მწვრთნელის კახა ჩხეტიანის ინიციატივა გახლავთ.

მოურინიო ოთხ ტრანსფერს გეგმავს

ევროპის ლიგის გამარჯვებული ჟოზე მოურინიო მანჩესტერ იუნაიტედში 4 ტრანსფერის განხორციელებას აპირებს და ანტუან გრიზმანი პრიორიტეტული სამიზნეა.

მის გარდა კი მოურინიოს ცენტრალური მცველის შეძენა სურს, ხოლო კანდიდატებად მაიკლ კინი, ვირჯილ ვან დეიკი და ვიქტორ ლინდელიოფი ჰყავს შერჩეული.

იუნაიტედი ასევე ცენტრალური ნახევარმცველისა და უნივერსალური მცველის გადაბირებას აპირებს, რომელიც მარცხენა და მარჯვენა ფლანგებზე ერთნაირი წარმატებით ითამაშებს.

იუნაიტედმა სეზონი მაღალ ნოტაზე დაასრულა ევროპა ლიგის მოგებით, მაგრამ მოურინიოსთვის ეს საკმარისი არ არის და სურს, ისეთი გუნდი ჩამოაყალიბოს, რომელიც პრემიერლიგისა და ჩემპიონთა ლიგის მოსაგებად იბრძოლებს.

გასულ ზაფხულს მოურინიო მტკიცე იყო სატრანსფერო ფანჯარაზე და მან ვუდვორდს ზუსტად განუსაზღვრა სასურველ ფეხბურთელთა სახელები, მიმდინარე სეზონში კი, მისივე მტკიცებით, უკვე შერჩეული ჰყავს ფეხბურთელები და მათი შეძენის საკითხი კლუბის აღმასრულებელმა დირექტორმა უნდა გადაწყვიტოს.

თბილისის დინამომ სუპერლიგა მოიგო

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ბოლო შეხვედრაში დაძაბული და თანაბარი ბრძოლა მხოლოდ პირველ პერიოდში შედგა. საკუთარი გულშემატკივრის ოვაციებით მომართული ქუთაისელები მეტოქეს ტოლს არ უდებდნენ და სადებიუტო ჩამორჩენა (4:11) პერიოდის შუაწელს ლიდერობად აქციეს. თუმცა მასპინძლებმა შეცდომებს უმატეს, ბურთს უვნებელ სიტუაციებში კარგავდნენ, დინამოელებს კი თამაში ორივე ხაზში წაუვიდათ და პირველი პერიოდის 21:19 მოგების შემდეგ, მეორე მეოთხედში ხელჩასაჭიდ უპირატესობას მიაღწიეს – 45:35.

დიდი შესვენების შემდეგ ვითარება არ შეცვლილა. დინამოელებმა გააგრძელეს ლიდერობის გამყარება და როცა მასპინძლების ჩამორჩენამ 15 ქულას გადააჭარბა, მათ თამაშის გადასარჩენად არც დრო დარჩათ და არც ძალა. საბოლოოდ დინამომ 17 ქულით იმარჯვა და სუპერლიგის სეზონი ჩემპიონობით დაასრულა.

ჩემპიონებს 17 ქულით ამერიკელმა დეონტა ვონმა ულიდერა. 16-16 ქულა მიითვალეს ლევან ფაცაციამ და მიხეილ ბერიშვილმა. ლევან ფაცაციამ ორმაგ დუბლს უწია – 10 ქულა და 10 მოხსნა. ქუთაისში 19 ქულითა და 9 პასის გიორგი ცინცაძე გამოირჩა, 16 ქულა და 10 მოხსნა ბექა ბექაურის ანგარიშზე დაგროვდა.

მატჩის შემდეგ გაიმართა დაჯილდოების ცერემონიალი, ქუთაისის გუნდი ვერცხლის მედლებით ფედერაციის საშეჯიბრებო დეპარტამენტის ხელმძღვანელებმა ზვიად კოტრიკაძემ და ალეკო პეტრიაშვილმა დააჯილდოვეს. ჩემპიონ გუნდს ოქროს მედლები და საჩემპიონო თასი ფედერაციის პრეზიდენტმა მიხეილ გაბრიჩიძემ გადასცა.

დაჯილდოების დროს გამოვლინდა სეზონის სხვადასხვა ნომინაციაც:

საუკეთესო მწვრთნელი

სუპერლიგის 2016-17 წლების სეზონის სეზონის საუკეთესო მწვრთნელი გახდა საკალათბურთო კლუბ დინამოს თავკაცი ირაკლი ხოშტარია, რომელსაც ცნობილი ქართველი მწვრთნელის გიორგი ავალიშვილის სახელობის პრიზი გადაეცა. სეზონის საუკეთესო მწვრთნელი ვეტერანმა კალათბურთელმა გივი ბიჭიაშვილმა დაჯილდოვა.

ირაკლი ხოშტარია, სეზონის საუკეთესო მწვრთნელი:

– ფანტასტიკური საღამო და უბედნიერესი დღეა ჩვენთვის. დიდი სურვილი მაქვს დინამომ გააგრძელოს წარმატებული სვლა და არა აქვს მნიშვნელობა ჩემთან ერთად მოხდება ეს თუ ჩემს გარეშე. მადლობას გადავუხდი ქუთაისის გუნდს ღირსეული თამაშისთვის, მის გულშემატკივრებს და ამ ქალაქს მასპინძლობისთვის. მადლობა სუპერლიგას და ყველა გულშემატკივარს, კლუბის პრეზიდენტს, ხელმძღვანელობას, საქართველოს ბანკს, რომელიც ამ წლების განმავლობაში ჩვენთან ერთად იყო. მადლობა ყველას და იმედია მომავალში კვლავ განვაგრძობთ წინსვლას.

საუკეთესო ახალგაზრდა კალათბურთელი

სეზონის საუკეთესო ახალგაზრდა მოთამაშის პრიზი, რომელიც ტრაგიკულად დაღუპული ზვიად მიქაძის ოჯახმა და მეგობრებმა დააწესეს, გადაეცა საკალათბურთო კლუბ კაკტუსის კალათბურთელ დავით ლომიძეს, რომელიც ზვიად მიქაძის შვილმა იოანა მიქაძემ დააჯილდოვა.

ლომიძე ასევე გახდა სეზონის გამორჩეული ახალგაზრდა მოთამაშე, რომელსაც გელა დარსაძის სახელობის თასი გადაეცა. გამორჩეული ახალგაზრდა კალათბურთელი სპეციალური თასით დააჯილდოვა გელა დარსაძის მეუღლემ, ნინო დარსაძემ.

დავით ლომიძე:

– მადლობას გადავუხდი ამ ტიტულისთვის იმ ადამიანებს, რომლებმაც დამასახელეს ამ 2 ნომინაციაში. ეს ჩემთვის დიდი პატივი და მოტივაციაა. მადლობას გადავუხდი ჩემს გულშემატკივრებსა და ჩემს ოჯახს, რომელიც მაქსიმალურად მიდგას მხარში. ვპირდები, მათ იმედებს აუცილებლად გავამართლებ.

საუკეთესო მოთამაშე

2016-17 წლების სეზონის საუკეთესო მოთამაშე გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სპორტულმა მედიამ, მწვრთნელებმა და თამაშის კომისრებმა. გამოკითხვის შედეგად სუპერლიგის წლევანდელი სეზონის საუკეთესო კალათბურთელად დასახელდა გიორგი ცინცაძე.

გიორგი ცინცაძეს საუკეთესო მოთამაშისთვის განკუთვნილი პრიზი კალათბურთის ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა გიორგი ქართველიშვილმა გადასცა.

გიორგი ცინცაძე:

– ვუოცავ დინამოს ჩემპიონის ტიტულს, რომელმაც დამსახურებულად გვაჯობა. მადლობას გადავუხდი ყველას, ვინც საუკეთესოდ დამასახელა, თუმცა ვფიქრობ სეზონის საუკეთესო მოთამაშის ტიტულს მიხეილ ბერიშვილი იმსახურებდა, რომელმაც სასწაული სეზონი ჩაატარა წელს. რაც შეეხება წლევანდელ სეზონს, უარყოფითად შევაფასებდი, რადგან ჩვენი მიზანი ჩემპიონობა იყო. ამას გარდა ორგანიზების კუთხითაც იყო ხარვეზები და მსაჯების პრობლემა. ვფიქრობ, ფედერაციაც მიხვდა ამ პრობლემას და სწორედ ამიტომაც დანიშნეს უცხოელი მსაჯში ფინალურ სერიაში.

შედეგები

27 მაისი

ფეხბურთი

ინგლისი. ლიგის თასი
ფინალი

არსენალი-ჩელსი	2:1

ესპანეთი. სამეფო თასი
ფინალი

ბარსელონა-ალავესი	3:1

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

უესკა-ლუგო	1:0
ალმერია-მირანდესი	2:0
ვალიადოლიდი-ხეტაფე	1:0
სევილია ბ-კადისი	3:3

გერმანია. თასი
ფინალი

აინტრახტი-დორტმუნდი	1:2

იტალია. სერია ა

ატალანტა-კიევო	1:0
ბოლონია-იუვენტუსი	1:2

სატურნირო ცხრილი:

1.იუვენტუსი	38	29	4	5	77-27	91
2.რომა	37	27	3	7	87-36	84
3.ნაპოლი	37	25	8	4	90-37	83
4.ატალანტა	38	21	9	8	62-41	72
5.ლაციო	37	21	7	9	73-48	70
6.მილანი	37	18	9	10	56-43	63
7.ინტერი	37	18	5	14	67-47	59
8.ფიორენტინა	37	16	11	10	61-55	59
9.ტორინო	37	12	14	11	66-63	50
10.სამპდორია	37	12	12	13	47-51	48
11.სასუოლო	37	13	7	17	55-58	46
12.უდინეზე	37	12	9	16	45-51	45
13.კალიარი	37	13	5	19	53-75	44
14.კიევო	38	12	7	19	43-61	43
15.ბოლონია	38	11	8	19	40-58	41
16.ჯენოა	37	9	9	19	36-61	36
17.ემპოლი	37	8	8	21	28-59	32
18.კროტონე	37	8	7	22	31-57	31
19.პალერმო	37	5	8	24	31-76	23
20.პესკარა	37	3	8	26	35-79	17

იტალია. სერია ბ
პლეი ოფი

ბენევენტო-პერუჯა	1:0

საფრანგეთი. თასი
ფინალი

ანჟე-პსჟ	0:1

მოტლანდია. თასი
ფინალი

სელტიკი-აბერდინი	2:1

თურქეთი. სუპერლიგა

ქაშიმფაშა-ანთალია	0:3
ქონია-აკხისარი	0:3
ბაშაქშეჰირი-ადანა	2:1
ფენერბახჩე-ტრაბზონი	1:1

ჩეხეთი. სინოტ ლიგა

პლზენი-იიჰლავა	2:0
ჰრადეც კრალოვე-ბოჰემიანსი 1905	1:0
კარვინა-იაბლონეცი	0:2
პრჟიბრჟამი-ზლინი	0:2
სლავია-ბრნო	4:0
ლიბერეცი-ბოლესლავი	4:0
სლოვაცკო-სპარტა	1:1
ტეპლიცე-დუკლა	0:1

პოლონეთი. ეკსტრაკლასა
პლეი აუტი

არკა-რუხი	1:1
ლენჩნა-ზაგლებიე	1:3
პიასტი-პლოცკი	4:0
სლასკი-კრაკოვია	2:0

უკრაინა. პრემიერლიგა
პლეი აუტი

ვოლინი-კარპატი	0:1
ვორსკლა-დნიპრო	1:0
ზვეზდა-სტალი	0:1

შვედეთი. ალსვენსკა

კალმარი-სუნდვალდი	3:0
დიურაგდენი-ესკილსტუნა	4:1
ნორჩიოპინგი-ჰალმშტადი	3:2

ნორვეგია. ელიტსერია

სანდერფიორდი-ოდ გრელანდი	0:0

ფინეთი. ვეიკაუსლიგა

ლახტი-ჰიკი	0:0
კემი-ვაასა	0:1
ჰიფკი-ინტერი	0:2
როვანიემი-კუუპიო	0:1
ჯჯკ-ილვესი	3:1
სეინეიოკი-მარიეჰამნი	1:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

რა როლი აკისრია საშვილოსნოს მილებს რეპროდუქციულ სისტემაში

ეკა ირემაშვილი

ნინო დათოშვილი

საყოველთაოდ ცნობილია, რომ უშვილობის პრობლემა სადღეისოდ მეტად აქტუალურია მთელ მსოფლიოში. საშვილოსნოს მილების პათოლოგიას უშვილობის სხვა მიზეზთა შორის უკავია 35-50%. მილების გამტარიანობის დარღვევასა და, შესაბამისად, უშვილობას იწვევს მრავალი მიზეზი: ქალის სასქესო ორგანოების ქრონიკული ანთებითი პროცესი, ქლამიდიური ინფექცია, მუცლის ღრუში საშვილოსნოს დანამატებზე სხვადასხვა ოპერაციული ჩარევის ნარჩენი მოვლენები, თანდაყოლილი ანომალიები...

რა როლი აკისრია საშვილოსნოს მილებს რეპროდუქციულ სისტემაში და რას უნდა მიაქციონ ყურადღება ქალბატონებმა? – ამ თემებზე არჩილ ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტის რადიოლოგი, რეპროდუქტოლოგი, მეან-გინეკოლოგი, ფიზიოთერაპევტი და მედიცინის აკადემიური დოქტორი ნინო დათოშვილი საუბრობს.

ნინო დათოშვილი:

– საშვილოსნოს მილები ასრულებენ მრავალ და რთულ ფუნქციას, წარიტაცებენ და გადაიტანენ კვერცხუჯრედსა და სპერმატოზოიდებს, უქმნიან ოპტიმალურ პირობებს განაყოფიერებულ კვერცხუჯრედს განვითარების პირველ ეტაპზე, ხელს უწყობენ ბლასტოცისტის საშვილოსნოში დროულ მოხვედრას. საშვილოსნოს მილებში კვერცხუჯრედისა და სპერმატოზოიდების ტრანსპორტს განაპირობებს შემდეგი ძირითადი ფაქტორები: მილების გლუვი კუნთოვანი გარსისა და იოგოვანი აპარატის შეკუმშვა, მილების ლორწოვანი გარსის წამწამოვანი ეპითელის მიკროხაოების მოძრაობა, სპერმატოზოიდებისა და კვერცხუჯრედის ტრანსპორტის პერიოდში მილის სანათურში სითხის დინება, საკუთრივ სპერმატოზოიდების უნარი, გადაადგილდნენ მილის სანათურში არსებულ სითხეში.

– რამდენი ფუნქციონალური ნაწილი აქვს საშვილოსნოს მილებს?

– საშვილოსნოს მილებში გამოყოფენ ოთხ ფუნქციონალურ ნაწილს: პრეამპულა ანუ ინფუნდიბულარული ნაწილი, ამპულა, ისთმური ნაწილი, ინტერსტიციალური ნაწილი და ორი ფუნქციონალური შეერთება – ისთმურ-ამპულარული და მილ-საშვილოსნოს სფინქტერები. თითოეულ ამ ნაწილს გააჩნია თავისი სტრუქტურული თავისებურებები, რომლებიც კავშირშია მილების სხვადასხვა ფუნქციასთან.

პრეამპულა, რომელშიც შედის ფიმბრიები, ასრულებს მნიშვნელოვან როლს ფერტილიზაციის პროცესში, რადგანაც სწორედ აქ ხდება ოვულირებული კვერცხუჯრედის წარტაცება. ფიმბრიებში კვერცხუჯრედის ტრანსპორტი დამოკიდებულია მოციმციმე ეპითელიუმის აქტივობაზე, ხოლო მილის სანათურში მისი შემდგომი გადაადგილება ხდება მილის კედლის პერისტალტიკური და სეგმენტარული შეკუმშვების ხარჯზე. ისთმურ-ამპულარული შეერთება ასრულებს ფიზიოლოგიური სფინქტერის როლს და აყოვნებს კვერცხუჯრედს ამპულაში, სადაც მიმდინარეობს მისი ფერტილიზაცია და გაივლის განვითარების საწყის სტადიებს.

როგორც ინტერსტიციალური ნაწილი, სადაც მდებარეობს მილ-საშვილოსნოს შეერთება, ასევე ისთმური ნაწილი კარგად განვითარებული მუსკულატურის ხარჯზე ასრულებს ფიზიოლოგიური სფინქტერის როლს, რომელსაც შეუძლია მთლიანად დახუროს მილის სანათური. ამის გამო ფერტილიზაციის ადგილას შეაღწევს სპერმატოზოიდების მხოლოდ აუცილებელი რაოდენობა. მილის ეს ნაწილი წარმოადგენს თავისებურ ფიზიოლოგიურ ბარიერს. ცხოველთა უმრავლესობას, ამ ბარიერის გარდა, გააჩნია მეორე ბარიერი-საშვილოსნოს ყელში.

– არის თუ არა ქალის რეპროდუქციული სისტემის ორგანოები მგრძნობიარე სტეროიდული ჰორმონების მიმართ?

– ქალის რეპროდუქციული სისტემის ორგანოები მგრძნობიარეა სტეროიდული ჰორმონების მიმართ და განიცდის ციკლურ ცვლილებებს, რაც დაკავშირებულია მათში ამ ჰორმონების მიმართ მგრძნობიარე ციტოპლაზმური რეცეპტორების არსებობასთან. საშვილოსნოს მილში ესტროგენული რეცეპტორების რიცხვი იცვლება მილის სხვადასხვა სეგმენტში და ციკლის სხვადასხვა ფაზაში. ამ რეცეპტორების მაქსიმალური რაოდენობა ამპულარულ ნაწილშია, ხოლო მინიმალური – პრეამპულაში. ამპულასა და ისთმურ ნაწილში რეცეპტორების რაოდენობა კოიტუსის შემდეგ აღწევს მაქსიმალურ დონეს, 3 დღის შემდეგ კი ისევ მცირდება. ამ პერიოდში ხდება სპერმატოზოიდების ტრანსპორტი, კვერცხუჯრედის მოტაცება და შემდგომი გადაადგილება. ასევე დადგინდა, რომ ამ პერიოდში პროგესტერონული რეცეპტორები ნეიტრალიზდება და მათი აღმოჩენა შეუძლებელია.

საშვილოსნოს მილის ეპითელიუმში განარჩევენ 4 ტიპის უჯრედებს: 1-წამწამოვანს და 3-არაწამწამოვანს: სეკრეტორული უჯრედები, სოლისებური უჯრედები და ბაზალური ანუ ინდიფერენტული უჯრედები. ლორწოვანი გარსის საკუთარი ფირფიტა შედგება რეტიკულარული და ფუზიფორმული ბოჭკოებისაგან და ასევე ღრუბლოვანი უჯრედებისაგან. ლორწოვანი შრე არ არსებობს. საშვილოსნოს მილის სხვადასხვა ნაწილში ინტერსტიციალურიდან ამპულარულ ნაწილამდე წამწამოვანი და სეკრეტორული უჯრედების რაოდენობა სხვადასხვაა რეპროდუქციული პერიოდის სხვადასხვა ფაზაში. წამწამოვანი უჯრედები მოთავსებულია მილის ისთმურ ნაწილში, ამპულაში და პრეამპულაში. საშვილოსნოს მილის მთელს გაყოლებაზე, დაწყებული ინტერსტიციალურიდან-ფიმბრიალურ ნაწილამდე, ამ უჯრედების რაოდენობა იკლებს.

– რას იტყვით საშვილოსნოს მილებში წამწამების რაოდენობაზე?

– საშვილოსნოს მილებში წამწამების რაოდენობა სრულ განვითარებას აღწევს მენსტრუაციული ციკლის ფოლიკულარული ფაზის ბოლოს. მათი რაოდენობა იკლებს იმ ქალებში, რომლებიც იღებენ პროგესტინებს. რაც შეეხება მენოპაუზას, ამ დროს წამწამების რიცხვი მილის ყველა ნაწილში რედუცირებს. დეციალიაცია და დეგენერაცია ხდება მხოლოდ მენსტრუაციული ციკლის დამთავრებიდან რამდენიმე წლის შემდეგ. ესტროგენების ხანგრძლივი შეყვანის შედეგად წამწამოვანი ეპითელი შეიძლება კვლავ აღდგეს.

სეკრეტორული და წამწამოვანი უჯრედების რაოდენობა დაახლოებით თანაბარია. მაქსიმალური სეკრეტორული აქტივობა აღინიშნება ოვულაციის წინა პერიოდში.

დადგინდა, რომ საშვილოსნოს მილების მუსკულატურა განიცდის შემდეგი სახის შეკუმშვებს: ლოკალიზებული პერისტალტიკური შეკუმშვები, რომლებიც წარმოიქმნება იზოლირებულ სეგმენტებსა და მარყუჟებში და ვრცელდება მოკლე დისტანციაზე, სეგმენტარული შეკუმშვები, რომლებიც ხშირად მიემართება საკვერცხიდან და იშვიათად საკვერცხისაკენ. სიგრძივი კუნთოვანი ბოჭკოების შეკუმშვა იწვევს მილის დამოკლებას, ხოლო ცირკულარული ბოჭკოების შეკუმშვა კი – რგოლისებურ შეკუმშვებს. მილების სპონტანური შეკუმშვების სიხშირე და ამპლიტუდა დამოკიდებულია მენსტრუაციული ციკლის ფაზაზე. ოვულაციამდე შეკუმშვები სუსტია, ოვულაციის პერიოდში კი ისინი ხდება წყვეტილი და ენერგიული.

საშვილოსნოს მილები შეიცავს აგრეთვე ე1 და ე2ა პროსტაგლანდინების რეცეპტორებს. მათი ზეგავლენით სიგრძივი მუსკულატურის ტონუსი იმატებს.

საშვილოსნოს მილის გლუვი მუსკულატურა შეიცავს ორი ტიპის ადრენორეცეპტორებს: ა და ბ რეცეპტორებს. ა ასოცირდება აგზნებასთან, ხოლო ბ მოდუნებასთან. ორივე რეცეპტორს ასტიმულირებს ადრენალინი. ა რეცეპტორების აქტივობა დაბალია ციკლის დასაწყისსა და ბოლოში. ესტროგენების დონის მომატებასთან ერთად მათი აქტივობა იმატებს. ბ რეცეპტორების აქტივობა კი იმატებს პროგესტერონის დონის მომატებასთან ერთად.

საშვილოსნოს მილის სეკრეტორული უჯრედები წარმოქმნიან სითხეს, რომელიც წარმოადგენს საკვებ ნიადაგს გამეტებისთვის. ის შედგება შრატის ტრანსუდატისა და სპეციფიკური სეკრეტისაგან, რომელიც შეიცავს უნიკალურ პროტეინებს.

– როგორ რეგულირდება მილის შიდა სითხის რაოდენობა?

– მილის შიდა სითხის რაოდენობა და შედგენილობა რეგულირდება ოვარიული ჰორმონების მეშვეობით. ოვულაციის წინა პერიოდში მილში სეკრეციას ასტიმულირებენ ესტროგენები. სეკრეცია მატულობს მენსტრუაციული ციკლის შუა პერიოდში. ვარაუდობენ, რომ სითხეში არსებული სტეროიდული ჰორმონები ხელს უწყობს ემბრიონის ზრდას. მილისშიდა სითხის დინებისა და უკუდინების შექმნაში მონაწილეობს რამოდენიმე ფიზიოლოგიური ფაქტორი: მენსტრუაციული ციკლის დროს მილის სეკრეციის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ცვლილებები, მილის სხვადასხვა ნაწილში წამწამების მოძრაობის თავისებურებანი, მილის სხვადასხვა სეგმენტში სანათურის დიამეტრის ცვლილებები, რომელიც გამოწვეულია კუნთების შეკუმშვებითა და მოდუნებით.

– რას ნიშნავს ნეიროჰორმონალური რეგულაცია?

– მილში განაყოფიერებული კვერცხუჯრედის ტრანსპორტს გააჩნია ნეიროჰორმონალური რეგულაცია. ოვულაციის პერიოდში მილის ინფუნდიბულარული ნაწილი მჭიდროდ ეკვრის საკვერცხეს. მილსაკვერცხის იოგის რითმული შეკუმშვები დამოკიდებულია პროსტაგლანდინებისა და ნორადრენალინის კონცეტრაციაზე. მათი ეფექტი იკლებს პროგესტერონის ზეგავლენის შედეგად. ფიმბრიების მოძრაობა სტაბილური და რეგულარულია. ფიმბრიების აქტივობას აძლიერებს პროსტაგლანდინები, ნორადრენალინი და ბრადიკინინი. ტონურ შეკუმშვებში დიდ როლს ასრულებს მეზოსალპინგსი.

– რა ხდება ოვულაციის პერიოდში?

– ოვულაციის პერიოდში ფიმბრიების სისხლძარღვები გადაივსება სისხლით, რის შედეგადაც ისინი წაადგავს ერექციულ ქსოვილს და ეს საშუალებას აძლევს მათ, შემოეხვიონ ოვულირებულ ფოლიკულს, რიტმულად შეიკუმშონ და დაარღვიონ ფოლიკულის მთლიანობა. ფოლიკულიდან გადმოსული ოოციტი უჯრედშორის მასასა და ფიმბრიალურ სითხესთან ერთად მოხვდება ფიმბრიების წამწამებზე. მათი მოძრაობა გადააადგილებს ოვულირებულ მასას მილის სანათურში რამდენიმე მილიმეტრის მანძილზე. მილების კუნთოვანი აქტივობა უზრუნველყოფს სპერმატოზოიდების ტრანსპორტს ამპულისაკენ და ემბრიონის მოძრაობას საშვილოსნოსაკენ.

– რა არის ამპულა?

– ამპულა წარმოადგენს ფერტილიზაციის ადგილს. ტრანსპორტის დასაწყის ფაზაში კვერცხუჯრედი შეჩერდება ამპულარულ-ისთმურ შეერთებასთან ახლოს, სადაც მისი დროებითი დაყოვნება განპირობებულია ამ მიდამოს კუნთოვანი ბოჭკოების შეკუმშვით ან სპაზმით. ისთმური ნაწილისაკენ კვერცხუჯრედის შემდგომი პასაჟი იმყოფება საკვერცხის სტეროიდების ზეგავლენის ქვეშ. მილის ისთმურ ნაწილს გააჩნია პარადოქსალური შესაძლებლობა ოვულაციის წინ ფერტილიზაციის ადგილამდე სპერმატოზოიდების ტრანსპორტისა, ხოლო ფერტილაციის შემდეგ კი საწინააღმდეგო მიმართულებით ტრანსპორტის უნარი. ისთმურ ნაწილს ასევე შეუძლია დაარეგულიროს სპერმატოზოიდების რიცხვი, რომელიც აუცილებელია განაყოფიერებისათვის. იგი ასრულებს სპერმის დროებითი რეზერვუარის როლს.

– რა დროს სჭირდება მილში ემბრიონის ტრანსპორტს?

– დადგინდა რომ, მილში ემბრიონის ტრანსპორტს სჭირდება 2,5-3 დღე. კვერცხუჯრედის ტრანსპორტის სიჩქარე დამოკიდებულია ესტროგენებისა და პროგესტერონის დონის შეფარდებაზე. ესტროგენების დიდი დოზები აბლოკირებს ემბრიონის ტრანსპორტის სიჩქარეს, ხოლო მცირე დოზები კი ამცირებს საკუთრივ ემბრიონის მოძრაობას. ამ ცვლილებების კორექცია შესაძლებელია ჰორმონული ბალანსის მოწესრიგებით.

ამგვარად, საშვილოსნოს მილების ფუნქციონალურ ანატომიასა და ფიზიოლოგიას, მილების ფუნქციის ჰორმონულ და ადრენერგულ რეგულაციას დიდი როლი აქვს რეპროდუქციულ სისტემაში.

ასტროპროგნოზი 29 მაისისათვის

ვერძი – სასიცოცხლო პოტენციალი დაბალია. დეპრესია გიტევთ, რომლის წამალიც მხოლოდ საქმეა. კარგი იქნება, თუ დაეხმარებით მათ, ვისაც ეს განსაკუთრებით სჭირდება. **კურო** – ახალი ნაცნობობა სარგებლობას მოგიტანთ. ქალაქგარეთ გასვლა, ბაღში მუშაობა, მცირეოდენი ფიზიკური დატვირთვა თქვენს ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე სასიკეთოდ აისახება. **ტყუპები** – ნუ იაქტიურებთ. საამისოდ არც ენერგია გეყოფათ. აკეთეთ ის, რაც გსიამოვნებთ. **კირჩხიბი** – დღევანდელი დღე ოჯახის წევრებს მიუძღვენით. ნუ გადაიღლებით. იზრუნეთ ჯანმრთელობაზე. **ლომი** – გარშემომყოფებთან ურთიერთობაში გაურკვევლობა და დაძაბულობა იჩენს თავს. ემოციები აკონტროლეთ და უტაქტო გამონათქვამებს ერიდეთ. **ქალწული** – სავარაუდოდ, გეგმები შეგეცვლებათ. შესაძლოა, ახალი მოვალეობებიც დაგეკისროთ. **სასწორი** – ყურადღების ცენტრში სამსახურებრივი პრობლემები ექცევა. დღის მეორე ნახევარი სახლში გაატარეთ. **ღრიანკალი** – ნუ იაქტიურებთ და ნუ იჯიუტებთ. მოულოდნელი ინფორმაცია გეგმებს შეგიცვლით. **მშვილდოსანი** – ყველა უსიამოვნება დავიწყებას მიეცემა. ფორტუნა გიღიმით. განსაკუთრებით უმართლებთ შემოქმედებით სფეროში მომუშავე ადამიანებს. **თხის რქა** – გადაღლილი ხართ. ახლობლების შენიშვნები მშვიდად მიიღეთ. საკუთარ თავს კრიტიკულად მიუდექით. **მერწყული** – საოჯახო პრობლემები სრულად ჩაგითრევთ. აკონტროლეთ შემოსავალ-გასავალი. გამოიყენეთ მეგობრების გამოცდილება. **თევზები** – ყურადღების ცენტრში ხართ. ყოველმხრივ კეთილისმყოფელი დღეა. ზომიერება დაიცავით.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

სიტყვიერი

1. კოლხი მედეას დედა; 2. ტერფზე ამოსაკრავი რკინა ალპინისტებისათვის; 3. კორეული ავტო; 4. „... ია“; 5. კანფეტი; 6. საწინდარი; 7. გარეული ღორი; 8. ლოჟები პარტერის დონეზე თეატრში; 9. ბრტყელი მაგარი ჩალის ქუდი; 10. მთის მასივი სომხეთსა და თურქეთში; 11. აჯანყება; 12. ჩოგბურთელი ... საფინი; 13. ფრანგული ყველი; 14. რომის პაპის გვირგვინი; 15. ჭადრაკის ფიგურა; 16. ქალაქი უზბეკეთში; 17. დავით თორაძის ბალეტი; 18. ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლი თურქეთის ტერიტორიაზე; 19. ყვავილი; 20. ცენტრალური მცველი ფეხბურთში; 21. დამღა; 22. ქართული გაზეთი; 23. მამათა დიდი მონასტერი; 24. იგივეა, რაც კრინოლინი; 25. კარის ან ფანჯრის დასაკეტი რკინა; 26. ხეობა პირიქითა ხევსურეთში; 27. საწინააღმდეგოს აღმნიშვნელი წინსართი; 28. ბატონი (ესპანურად); 29. ... ჟირარდო; 30. ფეხბურთის მეფე; 31. სიცოცხლესთან დაკავშირებული, სასიცოცხლო; 32. ქალაქი ესპანეთში; 33. ხოხბის ბარტყი; 34. დედმამიშვილი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

პროსვორდი ა

შვეულად: 1. ჟოქო; 2. შარმი; 3. იუნგა; 4. გარდა; 5. ალგეთი; 6. რიტორიკა; 8. სპიდომეტრი; 10. მელანქოლია; 11. ჩახრუხაძე; 14. ბაყაყი; 15. ქიზიყი; 16. პუშტუ.

თარაზულად: 1. ჟენშენი; 4. გრავიურა; 7. ქაირო; 9. მაგმა; 12. ჩითილი; 13. დიანა; 14. ბაცილა; 17. მეტეხი; 18. ჩოლოყაშვილი; 19. ზინგერი; 20. სურამი.

პროსვორდი ბ

შვეულად: 1. პოშეტი; 2. პირატი; 3. ვანდომი; 4. ღანძილი; 5. პლანიცა; 7. ვატმანი; 11. კილტი; 12. ფიესტა; 13. ხინკალი; 14. თემშარა; 15. მანათი; 17. არემჯი; 19. ქისი.

თარაზულად: 5. პაროდია; 6. ფალანგა; 8. ტატა; 9. სოტბი; 10. ივლისი; 11. კოკი; 13. ხოდაბუნი; 14. თოლია; 16. ზაქსი; 18. კუკია; 20. რაფსოდია; 21. თერჯოლა.

ანიტა რაჭველიშვილმა რუსეთში სიმღერაზე უარი განაცხადა

მსოფლიოში საუკეთესო კარმენად აღიარებულმა ქართველმა მეცოსოპრანო ანიტა რაჭველიშვილმა რუსეთში სიმღერაზე უარი განაცხადა. მოსკოვში ცნობილი იტალიელი რეჟისორის ფრანკო ძეფირელის 95 წლის იუბილეს აღნიშნავენ, სადაც მსოფლიოს საოპერო ვარსკვლავებთან ერთად ანიტა რაჭველიშვილიც მიიწვიეს, რაზეც მომღერალმა უარი განაცხადა.

ინფორმაცია ამის შესახებ მომღერალმა თავად გაავრცელა:

– მორიგი შემოთავაზება მოვიდა რუსეთიდან! კრემლში ფრანკო ძეფირელის 95 წლის იუბილესადმი მიძღვნილ გალას ატარებენ და მთხოვენ, ჩავიდე!

მომავალ წელს პირველ მარტს!

რაოდენ მნიშვნელოვანი მოვლენაც არ უნდა იყოს, რაოდენ დიდი თანხაც არ უნდა შემომთავაზონ, არასდროს დავდგამ ფეხს რუსეთის ტერიტორიაზე, სანამ ჩვენი ქვეყნის კუთვნილ ტერიტორიებს არ დაგვიბრუნებენ და თავს არ დაგვანებებენ!

ადრე ორჯერ ჩავედი, რადგან ვფიქრობდი, რომ კულტურასა და ხელოვნებას მაინც შეეძლო რაიმეს შეცვლა! ვცდებოდი და ბოდიშს ვიხდი ჩემი ქვეყნისა და ყველა პატრიოტის წინაშე! შეცდომას, საბედნიეროდ, არ ვიმეორებ!

მაპატიეთ, შეიძლება ჩემი პირადი აზრია, მაგრამ არ მესმის იმათი, ვინც იქ დადის და პერფორმანსებს მართავს დღემდე!

ერთად უნდა დავდგეთ და რეალურად შევხედოთ სიტუაციას!

„იქს ფაქტორის“ საიმიჯო ვიდეორგოლი ერმალო მაღრაძემ გადაიღო

29 მაისიდან მუსიკალურ შოუ „იქს ფაქტორში“ პირდაპირი ეთერი იწყება. სოფო ნიჟარაძე, სტეფანე მღებრიშვილი, ლელა წურწუმია და გიორგი გაბუნია თავიანთი ფავორიტი კონკურსანტებით გამარჯვებისთვის რეალურ ბრძოლას იწყებენ.

მერაბ ამზოევი და სანდრო კურცხალიძე სოფოს გუნდიდან, თამარ ედილაშვილი და გრიგოლ ყიფშიძე გიორგის გუნდიდან, მაგდა ვასაძე და სოფო საჟინიანი ლელას გუნდიდან და „მიქსტურა“ და ოთო ღურწკაია და „ბლუზ ფაქტორი“ სტეფანეს გუნდიდან „იქს ფაქტორის“ მეოთხე სეზონის მოგებისთვის იბრძოლებენ.

შოუს წამყვანებს რუსკა მაყაშვილსა და ვანიკო თარხნიშვილს მსახიობი ბახვა ბრეგვაძეც შეუერთდება. პროექტის საიმიჯო ვიდეორგოლის გადასაღებად შემოქმედებითმა ჯგუფმა „ნიჭიერის“ სპეციალური სტუმარი, რეჟისორი ერმალო მაღრაძე მიიწვია. გადაღებებმა რამდენიმე დღეს გასტანა და მუშაობა უკვე დასრულებულია.

ერმალო მაღრაძე ფართო საზოგადოებამ მას შემდეგ გაიცნო, რაც „ნიჭიერში“ სპეციალური სტუმრის სტატუსით მივიდა და ნიკა გვარამიას ფილმების გადაღებებისთვის კამერა სთხოვა. რუსთავი 2-ის გენერალურმა დირექტორმა რეჟისორს კამერა მოგვიანებით აჩუქა, ჟიურის წევრმა მსახიობმა რუსკა მაყაშვილმა კი რეჟისორს მას ფილმში მონაწილეობა სთხოვა.

„თეა“ – ასე ეწოდება რეჟისორის ერთ-ერთ ბოლო ნამუშევარს, რომელშიც რუსკა მაყაშვილმა მიიღო მონაწილეობა. ფილმის პრემიერა კინოთეატრ „ამირანში“ გაიმართა და მასზე დასასწრები ბილეთები ერთ დღეში გაიყიდა.

პრემიერას, მთავარი როლის შემსრულებლებთან ერთად, საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები ესწრებოდნენ. რეჟისორმა 20 წლის წინ დაწერილი სცენარის მიხედვით ფილმის გადაღება მხოლოდ ახლა მოახერხა. ფილმი რაიონიდან თბილისში ჩამოსული გოგონას შესახებ მოგვითხრობს, რომელიც არასწორ გზაზე დგება, თუმცა საბოლოოდ სიყვარული მის ცხოვრებას რადიკალურად ცვლის. ფილმში მთავარ როლს ხათუნა მიქელაძე ასრულებს, რომელიც რეჟისორმა შემთხვევით ქუჩაში აღმოაჩინა.

ერმალო მაღრაძე 9 ფილმის, მათგან 4 დოკუმენტური ფილმის ავტორია. მისი ფილმები დაბალბიუჯეტიანია, რადგან ერთი კაცის მიერ ერთი კამერით არის გადაღებული.

შოთა რუსთაველის იუბილე მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟულმა ჟურნალმაც იზეიმა

შოთა რუსთაველის 850 წლის იუბილე მსოფლიოს ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა ჟურნალმა „შექსპირ მეგეზინმაც“ იზეიმა.

ინფორმაცია და ფოტოები ხელოვნების სასახლის დირექტორმა გიორგი კალანდიამ გაავრცელა:

– ყველა თავდადებულ შრომას აუცილებლად მოაქვს შედეგი და აი ერთი მაგალითი: შარშან ჩვენ კულტურის სამინისტროს დაფინანსებითა და ბრიტანეთის საბჭოსთან თანამშრომლობით გამოვეცით შესანიშნავი ქართულ-ინგლისური წიგნი „შექსპირი ქართულ ხელოვნებაში“. შემდეგ იყო ამ წიგნის პრეზენტაცია ლონდონში და, აი, 26 მაისს მსოფლიოში ერთ-ერთმა ყველაზე პრესტიჟულმა ჟურნალმა „შექსპირ მეგეზინმა“ საქართველოს დამოუკიდებლობა ტვიტერზე სწორედ ჩვენ მიერ გაკეთებული წიგნით მოულოცა!

ორმაგად სასიხარულოა ისიც, რომ შექსპირთან ერთად ამ მოლოცვაში ნახსენებია ჩვენი დიდებული რუსთაველიც! ეს ბრწყინვალე ამბავი მაცნობა საქართველოს საელჩომ ინგლისში და გადმოიგზავნა შესაბამისი ფოტოც!

ძალიან მიხარია, რომ ჩემი და ჩემთვის ძვირფასი მუზეუმის შრომა უცხოეთში ასეთ გამოხმაურებას იწვევს! ვულოცავ ყველას!

ნიკა კანდელაკმა ნიკ ვესტს სცენაზე ხელი სთხოვა

კულტურის მინისტრის მოადგილე კახი კანდელაკის შვილმა ნიკა კანდელაკმა ცნობილ მომღერალსა და ბასისტ ნიკ ვესტს ხელი საჯაროდ სთხოვა.

ინტერნეტში უკვე გავრცელდა ვიდეოჩანაწერი, სადაც ჩანს, რომ ერთ-ერთი კონცერტის მსვლელობის დროს ნიკა სცენაზე ავიდა და საყვარელ ქალს ცოლად გაყოლა სთხოვა.

„ისთერნ პრომოუშენის“ ერთ-ერთი დამფუძნებლის კახი კანდელაკის შვილი ამერიკაში ცხოვრობს. ისიც, მამისა და ბაბუის მსგავსად, ჯაზით არის გატაცებული და ცოდნას ამ მიმართულებიც იღებს. მან დიდ ბრიტანეთსა და ამერიკაში ისწავლა და ლოს ანჯელესში მუსიკალური ინდუსტრიის მაგისტრის ხარისხიც აიღო. ნიკა კავკასიის რეგიონში მუსიკის ინდუსტრიაში პირველი კვალიფიციური მენეჯერია.

ნიკ ვესტი ცნობილი ელექტრობასისტია და უკვე 15 წელია უკრავს. მიუხედავად იმისა, რომ კარგად მღერის, საკუთარ თავს მაინც მუსიკოსს უწოდებს და სიმღერას გიტარაზე დაკვრა ურჩევნია. მიუხედავად იმისა, რომ მუსიკოსი 28 წლისაა, მას ცნობილ მომღერლებთან აქვთ ნამუშევარი.

ნიკა კანდელაკმა და ნიკ ვესტმა ერთმანეთი 2 წლის წინ გაიცნეს. მუსიკოსი თბილისში „ისთერნ პრომოუშენის“ მოწვევით ჩამოვიდა და თბილისის ივენთ ჰოლში კონცერტი გამართა. გაცნობიდან მალევე ისინი დამეგობრდნენ, თუმცა მათი მეგობრობა სიყვარულში გადაიზარდა და ახლა წყვილი დაქორწინებასაც გეგმავს.

გოგა ჩანადირი: „როცა წინაპრების ღვაწლს პატივს სცემ, აი, მაშინ გიყვარს საქართველო“

ფოტოხელოვანი გოგა ჩანადირი სოციალურ ქსელში აქვეყნებს იმ ძირითადი მოთხოვნების ჩამონათვალს, რომელთა დაცვითაც ნებისმიერი ჩვენგანი დაამტკიცებს, რომ საქართველო უყვარს.

გოგა ჩანადირი:

– როცა ნაგავს ძირს არ ყრი, როცა ღამით ქუჩაში ხმამაღალი საუბრით ან მუსიკით სხვებს ძილს არ უფრთხობ, როცა გარემოს სადარბაზოს მიღმაც უვლი, როცა მოძრაობის წესებს იცავ, როცა ენას არ აბინძურებ, როცა რიგს იცავ, როცა წინაპრების ღვაწლს პატივს სცემ, როცა გულისხმიერად სწავლობ და მუშაობ, როცა საპირფარეშოს სუფთას ტოვებ, როცა სამამულო ნაწარმს ყიდულობ, როცა არ ბრაკონიერობ, აი, მაშინ გიყვარს საქართველო. საქართველოს სიყვარული გვქონოდეს!

ბუბა კუდავა რუსთაველის დღის დაწესებას ითხოვს

წლევანდელი საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, 26 მაისი, შოთა რუსთაველის 850 წლის იუბილეს მიეძღვნა. ისტორიკოსი ბუბა კუდავა აღნიშნულ ინიციატივას ეხმაურება და საქართველოში შოთა რუსთაველის დღის დაწესებას ითხოვს.

ბუბა კუდავა:

– რუსთაველი როდის დაიბადა, კაცმა არ იცის. შესაბამისად, 1966-ში პოეტის 800 წლისთავის აღნიშვნა, ცხადია, მხოლოდ სიმბოლური იყო. დიდი ამბები იყო მაშინ საბჭოთა საქართველოში. ამ თარიღის მიხედვით შარშან 850 წლის იუბილე უწევდა და დაიწყო მზადება. 2016-მა ისე ჩაიქროლა, სახელმწიფოს „გამოეპარა“ იუბილე. როგორც ჩანს, იფიქრეს, მთლად ასე არ ივარგებსო და წელს გამოიღვიძეს.

რუსთაველზე რუსთაველი იყო. ჭარბად, ღამაზად...

ბევრი რამ მომეწონა და მივხვდი, როგორ გვაკლია რუსთაველი, მისი წარმოჩენა, მისი დღეები, მისი ტურისტულად გაბრენდება.

ძალიან საშური საქმე იქნებოდა, დაგვეწესებინა რუსთაველის დღე ან დღეები, ყოველწლიურად აღგვენიშნა, ჩაგვეტარებინა ფესტივალი და მთელი ამბები...

მოკლედ, ძალიან მომეწონა შოთაობა და რუსთაველობა რუსთაველზე.

თუმცა ერთი რამ ვერ გავიგე – რატომ 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს? ამ დღეს მეტი „სახელმწიფო“ უნდა ყოფილიყო, მეტი „დამოუკიდებლობა“, მეტი „თავისუფლება“ და მეტი „საერთო ეროვნული დღესასწაული“.

დავაწესოთ შოთა რუსთაველის დღე და ყოველწლიურად აღვნიშნოთ. ასე ლამაზად და უფრო მაღლად, უხვად, მდაბლად...

ფესტივალით, წარმოდგენებით, კონცერტებით, სპექტაკლებით, სახალხო ამბებით. მოვიწვიოთ ტურისტები და კაცი კაცსა შემოვტყორცნოთ!

და ვაცალოთ 26 მაისს 26-მაისობა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სპორტი

ზაზა ნადირაძე მსოფლიოს თასზე ვერცხლს დასჯერდა

უნგრეთში გაიმართა მსოფლიოს თასის მეორე ეტაპი ნიჩბოსნობაში, სადაც ქართველი სპორტსმენი ზაზა ნადირაძეც გამოდიოდა და ჩვენებურმა მეორე ადგილი დაიკავა.

ნადირაძემ დისტანცია 38,323 წამში დაფარა და გამარჯვებულს, ლიტველ ჰენრიკას ჟუსტატუტასს 0.315 მეათასედით ჩამორჩა. მესამე ადგილზე რუსეთის წარმომადგენელი ივან შტილი გავიდა.

შეგახსენებთ, რომ რიოს ოლიმპიურ თამაშებზე ზაზა ნადირაძე ფინალში მეხუთე ადგილზე გავიდა და დისტანცია 39.817 წამში დაფარა. როგორც ხედავ, ამ უნგრეთში დაფიქსირებული დროით ქართველ სპორტსმენს ოლიმპიადაზე უფრო მაღალი შედეგის ჩვენება შეეძლო.

მოამზადა მისეილ ჟორჟოლიანმა

კალეიდოსკოპი

მონადირე კანადელს თავს დათვი დაესხა

კანადის ონტარიოს პროვინციაში მამაკაცს, რომელიც მშვილდისრით ნადირობდა, თავს შავი დათვი დაესხა. მომხდარის ვიდეოჩანაწერი იუთუბიზე ვინმე რიჩარდ უესლიმ გამოაქვეყნა.

ვიდეოკამერა მონადირეს ტანსაცმელზე ჰქონდა დამაგრებული. ინტერნეტში ვიდეოს გამომქვეყნებელი თავად მონადირეა თუ არა, უცნობია. ოთხ დღეში ვიდეორგოლი 1,3 მილიონზე მეტმა ინტერნეტმომხმარებელმა ნახა.

ჩინეთის სოფლები მრავალფეხიანებით აივსო

ჩინეთის იუნინანის პროვინციის ორი სოფლის მცხოვრებლები მრავალფეხებების შემოსევამ შეაწუხა. ათასობით მრავალფეხა წვიმის შემდეგ დასახლებების ქუჩებს შეესია.

მრავალფეხები ძლიერი წვიმებით გამოწვეული წყალდიდობის შემდეგ გამოჩნდნენ. ადგილობრივები ამტკიცებენ, რომ მსგავსი არსებები ადრე არასოდეს უნახავთ და მათ „უცნაური ხოჭოები“ შეარქვეს. მათ ათეულობით კილოგრამი მრავალფეხება შეაგროვეს და მათი განადგურება ძალიან ძნელია. მათ ვერაფერს უხერხებს ჩვეულებრივი ქიმიკატები, ხოლო როდესაც მდუღარე წყალს ასხავენ, ან ცეცხლში აგდებენ. ეხვევიან და ცოცხლები რჩებიან.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

პროგრამა

ოთხშაბათი
29 მაისი

07.00 დოკ/ფ "ენტონი ბურდეინი" წინასწარი შეკვეთის გარეშე" **08.00** "ჯიმი ნიუტრონი-გენიოსი ბიჭუნა" **09.00** "მოამბე დილას" **10.00** "პირადი ექიმი" **11.00** დოკ/ფ "ჩაცმის თავისუფლება" **12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "ტელემანი" **12.45** "კაცების დრო" **13.50** "გურმანია" **14.20** "წიგნების თარო" **15.00, 02.10** "C სტუდია" **16.15** "ეკონომეტრი" **16.30** "ჰოპლა ჩვენ ვცოცხლობთ" **17.00, 03.10** "რეალური სივრცე" **18.30** "ხანმოკლე XX საუკუნე" **19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **20.40** "სპორტის დაფა" **21.00** ტ/სერ. "**ველვეტი**" **22.00** "მთავარი"- თამარ ჩიქოვანთან ერთად **22.30** "გამომძიებელი რეპორტიორი/ **23.00** "ეროვნული ლიგის მიმოხილვა" **00.00** მხ/ფ "**მაიამის პოლიცია**" (კ.ფარელი)

08.00 დოკ/ფ "ყალმუხეთის ბუდისტი ბერები" **09.00** დოკ/ფ "სკეიტბორდის ისტორია" **10.00** დოკ/ფ "ვისუნთქოთ ან არ ვისუნთქოთ" **11.00** დოკ/ფ "ჩემი პატარა საწარმო - მიკროკრედიტი ევროპაში" **12.00, 22.00** ტ/სერ. "**ალდრის ჟურე**" **13.00** ტ/სერ. "**ჩანტო ვებრინგ**" **14.00** დოკ/ფ "ვენჯოუს ფირმის ფეხსაცმელი" **15.00, 18.00, 20.40** "ბრიფინგის დრო" **17.00** დოკ/ფ "ევროპის შუაგულში" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **23.00** "მოამბე" (3 ენაზე) **00.00** "ნამდვილი დრო" **00.30** ტ/სერ. "**კატერინა და მისი ქალიშვილები**"

05.50, 14.40 სერ. "**ელიფი**" **07.30** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.10** ქრონიკა **08.20, 09.20** იმედის დილა (გაგრძელება) **10.05** სერ. "**პაბარაძალი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** იმედის დღე **17.35** სერ. "**სტამბოლის ორი სახე**" **18.45, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.30** მხ/ფ "**ღამის რეისი**" **00.30** მხ/ფ "**ფირტუალური მკვლელი**" **02.25** მხ/ფ "**ჩეფლებრივი ეჭვმიტანილები**" **04.05** მხ/ფ "**სერენა**"

06.00, 18.30 სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **06.45** სერ. "**დიდებული სუფეთა-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ყველაზე ლამაზი**" **15.30** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**დაკარგული წლები**" **19.57** სერ. "**დიდებული სუფეთა-ქოსემის რისხვა**" **22.00** X-ფაქტორი

08.00 ან/სერ. ავატარი **09.00, 13.00** სერ. "**შავი კოდი**" **11.00, 17.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" **15.00** სერ. "**ანტიმაფია**" **19.00** სერ. "**გაბორტებული**" **21.00** სერ. "**ანგარიშსწორება**" **22.30** მხ/ფ "**სურვილების სია**" **00.20** მხ/ფ "**შემიდტის შესახებ**" **02.40** მხ/ფ "**დიდი ნახტომი**"

06.15 ღვთის სახლი **06.35** პატერიკი-გლახაკთათვის გაცემული მოწყალება **06.45** ქართული ალბომი **07.20** ჩვენი საგანძური **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.25** საკვირაო სახარების განმარტება **10.35** დ/ფ "ილია II" **11.10** კვირიაკე **12.00** საეკლესიო კალენდარი **12.10** მხ/ფ "**მანანა**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** ბავშვები მუზეუმში **15.05** ქართული ან/ფ **15.25** დ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **15.50** სპექტაკლი "**დარისპანის გასაჭირი**" **17.25** დ/ფ "ხსნა ჩვენშია, გზა ჩემს გულზე გადის" მუხრან მაჭავარიანი **17.40** კონცერტი **17.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო-ევქარისტია **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.20** მინათმოქმედი "მწვანე საფარი" **19.40** საქართველო ევროპულ ოჯახში **20.25** თვენი "წმინდა ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე)" **20.40** ძილი ნებისა "ჩიპი და დეილი" **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.20** პატერიკი-აღსარებით ცოდვათა მიტევების შესახებ **21.30** საეკლესიო აღმშენებლობა **22.15** პორტრეტები ერთსულოვნების გალერეადან "სერაფიტი" **22.40** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.45** ღვთის სახლი "ბიჭვინთა" **00.30** სათაველებთან "სულხან-საბა ორბელიანი" **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

7.30 ანიმაცია "კბილის ფერიები" **8.15** დოკ/ფ "კაცი,ქალი,ბუნება" **9.00** სერ. "**ორი გული**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 2.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30, 18.50, 20.55** სერ. "**მარისა** **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **23.00** სერ. "**ესკობარი**" **0.00** "კონტაქტი" **0.30** სერ. "**პაემანი**" **2.00** "კონტაქტი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

29 მაისისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.4172

ევრო — 2.7114

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.1339

100 რუსული რუბლი — 4.2921

ამინდის პროგნოზი 29 მაისისთვის

18 მაისიდან

თეოდორ დრაიზერი
ამერიკული ტრაგედია
I ნაწილი

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი

25 მაისიდან



თეოდორ დრაიზერი
ამერიკული ტრაგედია
II ნაწილი

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი

43 წლის ჰაიდი კლუმი გაშიშვლდა

გერმანელი სუპერმოდელი ჰაიდი კლუმი, რომელიც 1 ივნისს 44 წლის გახდება, ფოტოსესიისთვის გაშიშვლდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

მანეკენი ფოტოსესიაზე ბრიტანელ ფოტოგრაფ რანკინთან ერთად მუშაობდა. ოთხი შვილის დედის თქმით, ახლა ის თავს გაცილებით თავდაჯერებულად გრძნობს, ვიდრე მშობიარობებამდე გრძნობდა.

სუპერმოდელმა რამდენიმე კადრი ფოტოსესიიდან სოციალურ ქსელ ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე განათავსა.

ჰაიდი კლუმის გვერდს სოციალურ ქსელში 3,6 მილიონზე მეტი ხელმომწერი ჰყავს.

მოდელმა ისკრა ლოურენსმა პლაჟზე თავი საკუთარი ფიგურით მოიწონა



ბრიტანელმა სრულტანიანმა მოდელმა ისკრა ლოურენსმა სოციალურ ქსელ ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა საცურაო კოსტიუმში გადაღებული საკუთარი სურათი, ხოლო კომენტარში ქალებს მოუწოდა იამაყონ საკუთარი სხეულით.

26 წლის ლოურენსმა კომენტარში ასევე მიუთითა, რომ ქალებმა თავი არ უნდა დაიტანჯონ გასახდომი წამლების მიღებით, იმისთვის, რათა ზაფხულში ბიკინიში გამოწყობილები კარგად გამოიყურებოდნენ. მისი თქმით, მანეკენისთვის მთავარია საკუთარი სხეულით დატკბეს, როგორიც არ უნდა იყოს.

– მნიშვნელობა არ აქვს, როგორ გამოიყურებით, თქვენ გაქვთ სრული უფლება, პლაჟზე ნებისმიერი ჩასაცმელით გაისეირნოთ, – აღნიშნა მოდელმა.

ლოურენსის ფოტოსურათმა 134 ათასზე მეტი მოწონება მიიღო. სულ კი მის გვერდს ინსტაგრამში 3,5 მილიონზე მეტი ხელმომწერი ჰყავს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

...

კაცი ძაღლს ყიდის. მყიდველი ეკითხება:

– ჯანმრთელი ძაღლია?

– ჯანმრთელია.

– ჭკვიანია?

– ჭკვიანია.

– ერთგულია?

– ერთგულია. უკვე მეხუთედ ვყიდი...

...

ორი მეგობარი ქილერი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– მომისმინე, ფულის გულისთვის მომკლავდი?

– რას ამბობ! შენ ხომ ჩემი მეგობარი ხარ! შენ მოკვლაში ფულს როგორ ავიღებ.

...

მამრი ვეშაპი მდედრის გარშემო დაცურავს და ეუბნება:

– რამდენი ქვეყანა, ასეულობით ეკოლოგიური ორგანიზაცია, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეები, მილიონობით ადამიანი, ყველანი იმისთვის იბრძვის, რომ ჩვენი სახეობა გადარჩეს, შენ კი მეუბნები თავი მტკივაო...

...

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– როდისმე მეძავი გამოგიძახია?

– ერთხელ...

– მერე?

– დავჯექით, ვისაუბრეთ... გავიხსენეთ, როგორ დავშორდით ერთმანეთს ორი წლის წინ...

...

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– მომწონს ჩვენი განათლების მინისტრის პოზიცია...

– რა მხრივ?

– ვერც მე ვიტან მეტისმეტად განათლებულებს...

...

ოჯახურ ცხოვრებაში მამაკაცები ქალებზე ბედნიერები არიან. უფრო გვიანაც ქორწინდებიან და უფრო ადრეც კვდებიან.

...

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– შენს ცოლს რომ მანქანა უყიდე, ტარება და მოძრაობის წესები ასწავლე?

– მთელი თვე ვასწავლიდი...

– მერე?

– ნეტავ ლოცვა მესწავლებინა!!!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.



23 მაისიდან

ლაშა იმედაშვილი
სამი მკვლელობა ძველ თბილისში
პატრიარქის ზაფხული

ქართული დეტექტივი ტომი 13

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

თბილისის დინამომ სუპერლიგა მოიგო

თბილისის დინამო საქართველოს ჩემპიონია. ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილმა გუნდმა ფინალური სერიის მესამე მატჩი ქუთაისში მოიგო და დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ჩემპიონი მეოთხედ გახდა.

დინამომ ფინალური სერიის პირველი 2 მატჩი თბილისში მოიგო. დედაქალაქელებს მხოლოდ სერიის პირველ შეხვედრაში გაუჭირდათ, რომელიც დაძაბულ ბრძოლაში მოიგეს. მომდევნო მატჩი თბილისელებმა ქუთაისს 23 ქულით სძლიეს, გადამწყვეტი კი, ჩემპიონობის მომტან მატჩში მეტოქე 93:76 დაამარცხეს და სუპერლიგის თასსა და მედლებს დამსახურებულად დაეპატრონნენ.

ეს გუნდები შეხვდნენ გასული, 2016-17 წლების სეზონის ფინალშიც და მაშინ ქუთაისმა ჩემპიონობა მე-5, გადამწყვეტ მატჩში შინაურ კედლებში მოიპოვა. დინამოელებმა რევანში ღირსეულად აიღეს და მოქმედ ჩემპიონს ჯერ რეგულარულ ჩემპიონატში მოუგეს 4-დან ოთხივე შეხვედრა, შემდეგ კი ფინალური სერიაც მშრალად – 3:0 გაიმარჯვეს და უძლიერესის ტიტულიც დამსახურებულად მოიპოვეს. ერთადერთი მატჩი, რომელიც ქუთაისელებმა დინამოს ამ სეზონში მოუგეს, თასის გათამაშების ფინალი იყო.

გაგრძელება მე-9 გვერდზე

ჯოსვოხდი



თარაზულად: 5. ღია წირი (მათემ.); 6. სისხლის მიმოქცევის ხელშემწყობი პრეპარატი; 9. იაპონური სამოსელი; 10. ერთ-ერთი ფიგურა (ნახატი) ბანქოში; 11. ... ფრეინდლიხი; 13. ჯარების მართვის ორგანო; 15. მცენარეული შხამი; 18. ვარდობისთვე; 21. უზარმაზარი გადაშენებული ქვეწარმავალი; 22. სამკელი იარაღი; 23. სესილია თაყაიშვილის კინოროლი.

შვეულად: 1. ქალის თავსაბურავი; 2. სოფელი საგარეჯოს რაიონში; 3. მუსიკოს-შემსრულებელთა ოთხეული; 4. ნოეს ...; 7. ქიმიური ელემენტი, ლითონი; 8. გულყვითელა (მგალობელი ფრინველი); 12. უმაღლესი სასწავლებლის მოსწავლე; 14. ხის ზღაპრული ბიჭუნა; 16. ახალი წელი გურიაში; 17. სახურავი მასალა; 19. ...-დიდება; 20. ცეცხლის ღვთაება ინდუიზმში.

შეადგინა ოლივერ კოხიამ